განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პროფესორი მაირი გრეი ბრაუნინგ სკოტი, სამედიცინო განათლებისა და საოჯახო მედიცინის პროფესორი, მედიცინის სკოლა, დანდის უნივერსიტეტი გაერთიანებული სამეფო

თანა-თავმჯდომარე: პროფესორი მარგუს ვიიგიმაა, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი

წევრები:

სოფიო სამხარაძე, კლინიკა EU-დენტის დირექტორი, დამსაქმებელი, საქართველო

ნინო ჩიხლაძე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი, მედიცინის ფაკულტეტი, სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ლანა ბოკუჩავა, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ამირანაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

თითქმის საუკუნის წინ დაარსებულმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა (თსსუ-მ) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში სამედიცინო განათლების განვითარებაში. დაწყებული 1918 წლიდან, როცა სამედიცინო ფაკულტეტი დაარსდა, დაწესებულება გაფართოვდა სამედიცინო ინსტიტუტის დაარსებით 1930 წელს და შემდეგ, 1992 წელს, მან უნივერსიტეტის სტატუსი მოიპოვა; გახდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 2006 წელს, როდესაც თსსუ-მ შეიერთა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, დაადასტურა რა თავისი პოზიცია როგორც წამყვანმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ კავკასიის რეგიონში.

თსსუ-ს აქვს მძლავრი აკადემიური პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, სპეციალიზებული კურსებით როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ ენებზე. უნივერსიტეტი გვთავაზობს 7 ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამას, 8 საბაკალავრო პროგრამას (მათ შორის 2 ინგლისურ ენაზე), 11 სამაგისტრო პროგრამას, 4 სადოქტორო პროგრამას და ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამას. ამჟამად, თსსუ-ში სწავლობს დაახლოებით 3400 საერთაშორისო სტუდენტი 84 ქვეყნიდან, რაც ამდიდრებს მის მრავალფეროვან აკადემიურ საზოგადოებას.

ჯანდაცვის პროგრამების მხარდაჭერის მიზნით თსსუ მართავს ხუთ კლინიკას. ესენია: პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული აკადემიური კლინიკა, თსსუ-ს და ინგოროყვას მაღალტექნოლოგიური უნივერსიტეტის კლინიკა, აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა და #1 სტომატოლოგიური კლინიკა. უნივერსიტეტში ასევე არის ორი პრესტიჟული კვლევითი ინსტიტუტი: ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი და იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი. ეს დაწესებულებები ხაზს უსვამს თსსუ-ს დაინტერესებას სამედიცინო განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართ.

თავისი საგანმანათლებლო მისიის გასაძლიერებლად, თსსუ-ში არსებობს სამაგისტრო სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი, აკადემიური განვითარების ცენტრი; იგი არის ევროპაში სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) რეგიონული წარმომადგენელი, რომელიც ფუნქციონირებს როგორც AMEE-ს საერთაშორისო ქსელური ცენტრი საქართველოში. ეს ინიციატივები ამყარებს თსსუ-ს რეპუტაციას როგორც სამედიცინო განათლების უმაღლესი დონისა და ინოვაციების ცენტრს რეგიონში.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს 2024 წლის 21 მაისს წარედგინა. თვითშეფასების ანგარიში დაახლოებით 164 გვერდს მოიცავდა, იყო ყოვლისმომცველი და ყველა ნაწილში დეტალურ ინფორმაციას შეიცავდა. მასში შეტანილი იყო ჰიპერბმულები მტკიცებულებით დოკუმენტებზე, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, რაც აძლიერებდა მის სანდოობას და ამარტივებდა მითითებას. თვითშეფასების ანგარიშმა გამოავლინა შვიდივე სტანდარტში ძლიერი მხარეები და ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან გასაუმჯობესებელ სფეროებს. ამ საფუძვლიანმა ანალიზმა აჩვენა თსსუ-ს ღრმა ცოდნა იმისა თუ როგორ უნდა ფუნქციონირებდეს როგორც ცალკეული გუნდები, ისე მთელი დაწესებულება. გარდა ამისა, მასში გამოვლინდა ინსტიტუციური ცნობიერების მნიშვნელოვანი დონე დროთა განმავლობაში მიღწეული პროგრესისა და სამომავლო განვითარების სტრატეგიული მიმართულების თვალსაზრისით.

ჯგუფის წევრებმა საკუთარი ექსპერტიზის შესაბამისად გაინაწილეს სტანდარტები, რომლებსაც წარუძღვნენ. თუმცა, მოწოდებული მონაცემების განხილვისას ისინი გასცდნენ თავიანთ განსაზღვრულ სფეროებს. ადგილზე ვიზიტამდე მომზადდა შესწავლის კონკრეტული სფეროები.

ადგილზე ვიზიტი 10 - 14 ივნისს დეტალური განრიგის მიხედვით განხორციელდა, , რაც მოიცავდა შეხვედრებს და ვიზიტებს სხვადასხვა ობიექტებზე. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო შეხვედრები მმართველ ორგანოებთან, ადმინისტრაციულ გუნდებთან, დეკანებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, თვითშეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, ყველა საგანმანათლებლო დეპარტამენტისა და მათთან დაკავშირებული მხარდამჭერი ერთეულების წარმომადგენლებთან, კვლევითი დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რომლებიც დაგეგმილი იყო სამი დღის განმავლობაში.

დამატებით, ჩატარდა კონკრეტული ობიექტების დათვალიერება შემდეგნაირად:

- დღე 3: ვიზიტი ხუთ დაწესებულებაში

    1. თსსუს აპოლონ ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა
    2. თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა
    3. კენ უოკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა
    4. გ. ჟვანიას პედიატრიული კლინიკა
    5. ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

    *** არ იყო საკმარისი დრო თსსუ- სა და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკის მოსანახულებლად.

- დღე 4: ვიზიტი კამპუსის სასწავლო ობიექტებზე, მათ შორის სპორტულ ცენტრში, ხელოვნების ცენტრში, სიმულაციურ ცენტრსა და გენეტიკის ლაბორატორიაში.

ამ ვიზიტების დროს ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავდა და რომლებიც დაუყოვნებლივ იქნა წარმოდგენილი ვიზიტის დასრულებამდე. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა დაუსვა შეკითხვები თსსუ- ს წარმომადგენლებს და საკუთარი წვლილი შეიტანა ვიზიტის ბოლოს გამართულ არაფორმალურ გამოხმაურებაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

როგორც აღმოჩნდა, თსსუ სრულ შესაბამისობაშია ყველა შვიდ სტანდარტთან. მიუხედავად იმისა, რომ გამოიკვეთა 'საუკეთესო პრაქტიკის' რამდენიმე სფერო, ზოგადად მიიჩნევა, რომ უმეტეს სფეროში თსსუ ძალიან მაღალი სტანდარტით მუშაობს. აქ წარმოდგენილია რჩევები მათი უწყვეტი ზრდისა და განვითარების გეგმების მხარდასაჭერად.

რეკომენდაციების შეჯამება

არ არის მითითებული

რჩევების შეჯამება

1.2 ხელოვნური ინტელექტის, როგორც ახალი სტრატეგიული პრიორიტეტის შემოღება, აჩვენებს თსსუ-ს შორსმჭვრეტელობას და ტრანსფორმაციული ტექნოლოგიებისადმი ადაპტირების მზაობას. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მიმდინარეობს ადრეული პროექტები, სამედიცინო განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გავლენის შესახებ ფართო ხედვის შენარჩუნება და ახალი იდეებისადმი ღიაობა, თუნდაც სტრატეგიული გეგმის საჯარო განხილვის გზით, კიდევ უფრო გააძლიერებს თსსუ-ს ლიდერობას ინოვაციების სფეროში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2.1 თუ გავითვალისწინებთ თსსუ-ს აღიარებულ რეპუტაციას AMEE- ESME კურსების შემუშავება-შეთავაზებაში, უნივერსიტეტს შეუძლია განავითაროს შეთავაზება-შემუშავების სულ უფრო ავტონომიური მიდგომები AMEE-ში პოტენციური ცვლილებების კვალდაკვალ.

2.1 სასურველია, თსსუ-ს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ შეინარჩუნოს „ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში“ იდენტიფიცირებული მაღალი რისკების მქონე სფეროებთან დაკავშირებული ნებისმიერი უარყოფითი შედეგის ლიმიტირების ფართო პერსპექტივა.. ეს სფეროები, სხვასთან ერთად, მოიცავსსაერთაშორისო სტუდენტების ნაკადს. გეგმაში გაწერილი პრევენციული ზომები მოითხოვს ზედმიწევნით მონიტორინგს და სტრატეგიულ მოქმედებას ამ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისთვის.

2.2 მიუხედავად იმისა, რომ თსსუ-ს გუნდები მკაცრად იცავენ პროტოკოლებს, დროდადრო მაინც შეიმჩნევა გარკვეული გადახრები. უწყვეტი განათლება და ადაპტაცია გააძლიერებს

ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკას და ხელს შეუწყობს გამძლეობას. ღია კომუნიკაციისა და პროაქტიული უკუკავშირის არხების წახალისება ხელს შეუწყობს სტანდარტიდან გადახრების ადრეულ იდენტიფიცირებას და მოგვარებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მიმდინარე ზრდას და წარმატებას.

2.3 სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ნაშრომების გამოქვეყნების მასშტაბების გაზრდის წახალისების ერთ-ერთ საშუალებად თსსუ=მ შესაძლოა განიხილოს იმგვარი პროცესის დანერგვა, სადაც ავტორები გამოიყენებენ „Strikeplagiarism"-ს - ანტი-პლაგიატის ინსტრუმენტს, რომელიც ნაშრომების გამოქვეყნებამდე ავტორებს საშუალებას აძლევს შეამოწმონ საკუთარი ტექსტი. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს, ავტორებს აუმაღლოს თვითდაჯერებულობა აკადემიური წერის პროცესში , თუნდაც უნებლიე შეცდომების მინიმიზირების გზით ვიდრე გულისხმობდეს რაიმე საკითხს პლაგიატთან დაკავშირებით.

3.2 თსსუ-მ შესაძლოა განიხილოს საგანმანათლებლო მიდგომის გაუმჯობესების გზები სტუდენტებს შორის პროფესიათაშორისი და შიგაპროფესიული სწავლის ხელშეწყობის გზით ყველა პროფესიულ დისციპლინაში. ერთობლივი სწავლა უკეთ წარმოაჩენს სხვადასხვა პროფესიულ პერსპექტივებსა და პასუხისმგებლობებს, მოამზადებს სტუდენტებს ეფექტური თანამშრომლობისთვის ჯანდაცვის მულტიდისციპლინურ გუნდებში, როდესაც ისინი დასაქმდებიან.

3.2 იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები ესწრაფვიან კლინიკის გარემოში უნარ-ჩვევების განვითარებას ავადმყოფის საწოლთან სწავლების გზით, განსაკუთრებით ეფექტურად მიგვაჩნია კლინიკის პირობებში 10-12 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფები, ზოგჯერ კიდევ უფრო მცირე ერთეულებად დაყოფილი; კარგი იქნება თუ თსსუ შეისწავლის ამ მოდელის ყველა სამედიცინო პროგრამაში დანერგვის გზებს. ამ ინიციატივის მიზანია გაზარდოს სტუდენტებისთვის ავადმყოფის საწოლთან სწავლების შესაძლებლობების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს ცალკეულ სტუდენტზე მორგებული სწავლის გამოცდილებას კლინიკის გარემოში.

3.2 თსსუ-ს შეუძლია სწავლის გაღრმავება შეტრიალებული საკლასო ოთახის ტექნიკის შემოღებით. ონლაინ პორტალზე ჩაწერილი ლექციები და გაკვეთილები საშუალებას აძლევს სტუდენტებს წინასწარ გაეცნონ მასალის შინაარსს, რაც მეტ დროს ტოვებს აუდიტორიაში ინტერაქტიული სწავლისთვის. ეს მიდგომა ეხმარება თსსუ-ს ეფექტური განათლების განხორციელების პროცესში და იყენებს მათ ძლიერ ვირტუალურ სასწავლო გარემოს მეტი მოქნილობისთვის.

3.3 საგანმანათლებლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, თსსუ- მა ასევე შეიძლება განიხილოს სტუდენტთა გრძელვადიანი (გრძივი) პორტფოლიოს შექმნა. ეს დაეხმარება სტუდენტებს განავითარონ პროფესიული თვისებები რეფლექსიური პრაქტიკის გზით სწავლის განმავლობაში და მის შემდგომ. პორტფოლიოს ინტეგრირება უნივერსიტეტის ჩარჩოებში ხელს შეუწყობს აკადემიური და პროფესიული ზრდის დოკუმენტირებას, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტ სწავლასა და კარიერულ განვითარებას.

3.3 როგორც ცნობილია, თსსუ მუშაობს დომენზე დაფუძნებული OSCE-ს სადგურების რაოდენობის გაფართოებაზე, ამიტომ სასურველია იგი გადავიდეს შეფასების განვითარების

აქტივობების ინტეგრირებაზე როგორც არსებულ საკონტროლო სიაზე დაფუძნებულ, ასევე ამერიკულ სამედიცინო პროგრამებში. ამით უსდ გაზრდის უნარების შეფასების საერთო ხარისხსა და ყოვლისმომცველობას.

4.1 იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკი არის 58 წელი, აქედან პროფესორების საშუალო ასაკი - 63 წელი, ასოცირებული პროფესორების - 57 წელი, ხოლო ასისტენტ- პროფესორების - 55 წელი, აუცილებლად უნდა შემცირდეს საერთო ასაკი, განსაკუთრებით ასისტენტ-პროფესორებს შორის. ეს მიდგომა არა მხოლოდ გააუმჯობესებს ინსტიტუციონალური მემკვიდრეობის დაგეგმვას, არამედ მოახდენს ჯანდაცვის პრაქტიკაში აქტიურად ჩართული პროფესორ-მასწავლებლების პროდუქტიულობას.

5.2 სასურველია თსსუ-მ გააძლიეროს საერთაშორისო სტუდენტებისათვის კარიერული განვითარების მხარდაჭერა, კერძოდ, მშობლიურ ქვეყნებში არსებული საწყისი კარიერული შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით დამატებითი მიზნობრივი ღონისძიებების უზრუნველყოფა

.

6.1 სასურველია უნივერსიტეტმა შემდგომში განავითაროს ჟურნალი „საქართველოს ბიომედიცინის ამბები“ და საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის მეშვეობით და კარგი შესაძლებლობებით გახადოს ჟურნალი იმპაქტფაქტორიანი >0.5.

6.1 როგორც დაგეგმილი კვლევის კომერციალიზაციის განვითარების ძალისხმევის ნაწილი, თსსუ - მ შესაძლებელია, წაახალისოს დამატებითი გზები აღნიშნული ტიპის აქტივობების დროულად გასაფართოებლად, იმისათვის რომ შეინარჩუნოს და გაზარდოს ენთუზიაზმი.

6.2 ინტერდისციპლინურ და გამოყენებით კვლევებში თსსუ-ს პოტენციალის სრულად გამოყენების მიზნით, სასურველია, თსსუ-მ მეტი აქცენტი გააკეთოს ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობაზე და წაახალისოს ერთობლივი კვლევითი პროექტები.

6.2 კვლევის დაფინანსების გაზრდის მიზნით, სასურველია თსსუ - მ Horizon Europe პროექტში ამჟამინდელი მონაწილეობის მიღმა განიხილოს შემდეგი ვარიანტები:

- Twinning-ის პროექტები: სასურველია თსსუ ჩაერთოს პროექტებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რათა მიაღწიოს კონკრეტულ შედეგებს თანამშრომლობითი უშუალო ურთიერთობის მეშვეობით.
- ევროკავშირის საერთაშორისო პარტნიორობის გრანტები: სასურველია გააკეთოს განაცხადი გრანტებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ისეთი ორგანიზაციებისთვის რომლების აკმაყოფილებენ კონკრეტული მოთხოვნებს. .

- SKYENET პროექტი: სასურველია თსსუ-მ მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ SKYENET პროექტში, რომელიც მხარს უჭერს სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს და უზრუნველყოფს აუცილებელი ცოდნისა და უნარების მიწოდებას.
- ერთობლივი ძალისხმევები დარგის პარტნიორებთან და სტარტაპერ კომპანიებთან: ითანამშრომლეთ დარგის პარტნიორებთან და სტარტაპ კომპანიებთან, რათა მოიძიონ დაფინანსების ახალი წყაროები და გამონახოთ კვლევის პრაქტიკული გამოყენების გზები.

7.1 სასურველია, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გაგრძელდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ადაპტაცია არსებული გეგმის ფარგლებში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებში და მომავალი წლის ბიუჯეტში, სასურველია ბიბლიოთეკის და საგამოცდო ცენტრის რეკონსტრუქცია და ადაპტირება.

7.3 სასურველია თსსუ-მ გაითვალისწინოს LMS სისტემის ქმედუნარიანობის გაზრდა, LMS სისტემაში სასწავლო კურსების წინაპირობის სისტემის ინტეგრირებით, რაც გაამარტივებს სტუდენტების თვითრეგისტრაციის პროცესს. სასურველია თსსუ-მ გაითვალისწინოს სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან და ლექტორებთან კომუნიკაციის გამარტივების გზები.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

2.1 დადებითად უნდა შეფასდეს თსსუ- ის საერთაშორისო სამსახური სტუდენტების მოზიდვისა და მიღების სამაგალითო კოორდინაციისთვის, ასევე მრავალფეროვან საერთაშორისო სივრცეში სტრატეგიული პარტნიორობისთვის. ნამდვილად დასაფასებელია მათი ერთგულება საუკეთესო პრაქტიკისა და სტრატეგიული შესაბამისობის მიმართ.

3.1 საქართველოს პროფესიულ დისციპლინებში დასაქმების სფეროში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად თსსუ-ის მიერ ახალი კურსების პროაქტიული დანერგვა ადასტურებს, უსდ-ს ძლიერ განზრახვას, ხელი შეუწყოს ჯანდაცვის განვითარებას. ეს ნაბიჯები შთამბეჭდავია და დადებითად იმოქმედებს ჯანდაცვის სერვისებზე და ხელს შეუწყობს უფრო მყარ პარტნიორობას დამსაქმებლებთან, რომლებიც აშკარად აქტიურად უჭერენ მხარს და ხელს უწყობენ თქვენს ინიციატივებს.

6.2 პროაქტიული სადოქტორო სტიპენდიის პროგრამა კვლევის დაფინანსებით, უზრუნველყოფს პერსონალის აყვანას, რომელიც როგორც უკვე დადასტურდა, წარმოადგენს შესანიშნავ მეთოდს თსსუ - ს მომავალი აკადემიური ლიდერების განვითარებისთვის.

7.4 მთლიანობაში, თსსუ -ს მასშტაბურმა ინვესტიციებმა არა მხოლოდ გააძლიერა მისი შიდა ოპერაციები, არამედ მოიტანა პოზიტიური განწყობა როგორც პერსონალში, ასევე სტუდენტებში, რამაც გამოიწვია დაწესებულებაში აფილირებისა და ჩართულობის ძლიერი განცდა.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ არის შესაბამისობაში**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☒	☐	☐	☐

7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. პროფესორი მეირი სკოტი (თავმჯდომარე)
2. პროფეორი მარგუს ვიიგიმაა (თანათავმჯდომარე)
3. პროფესორი ნინო ჩიხლაძე
4. პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი (წევრი)
5. დოქ. ლანა ბოკუჩავა (წევრი)
6. ნინო ამირანაშვილი (წევრი)
7. სოფიო სამხარაძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ის მისია შეესაბამება როგორც ქართული, ისე ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს. იგი განსაზღვრავს თსსუ- ის როლს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ორიენტირებულია მაღალი ხარისხის სწავლებაზე, კვლევასა და პროფესიულ მომზადებაზე სამედიცინო განათლების ყველა საფეხურზე. მისია ხაზს უსვამს ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებას და კურსდამთავრებულების მომზადებას გლობალური პროფესიული საზოგადოებისთვის, რაც უწყვეტი სწავლისადმი ერთგულებას ასახავს. ფაკულტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისიას ღრმად აქვს ფესვები გადგმული თსსუ-ის მემკვიდრეობაში და განათლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დაცვაში. თსსუ-ის ხედვა აერთიანებს სასწავლო, კვლევით და სამედიცინო საქმიანობას, რაც ხელს უწყობს ჰოლისტიკური საგანმანათლებლო მიდგომის განვითარებას. მრავალფეროვანი პროგრამები და სხვადასხვა ენების არსებობა ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას და ხელმისაწვდომობას, რაც შეესაბამება მისიას - უზრუნველყოს უწყვეტი პროფესიული განვითარება და დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის საჭიროებები. ეს ხედვა ასახავს უსდ- ს სტრატეგიულ სწრაფვას მაღალი სტანდარტებისა და გლობალური საგანმანათლებლო გარემოსადმი. გასაუბრებების დროს, რესპონდენტთა უმეტესობამ ან აშკარად იცოდა მისია და ხედვა, ან აჩვენა იმპლიციტური გაგება კითხვებზე პასუხების საშუალებით, რაც უსდ- ში კარგად დანერგილ ინსტიტუციურ კულტურაზე მიუთითებს. თსსუ- ის ღირებულებები ხაზს უსვამს აკადემიურ თავისუფლებას, ხარისხს და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მყარ საგანმანათლებლო ჩარჩოს. ავტონომიურობა, დემოკრატია და გამჭვირვალობა ხაზს უსვამს კარგ მმართველობას, ხოლო საერთაშორისო თანამშრომლობა და მაღალი ხარისხის ტრადიციები ეხმიანება მისიას და ხედვას. პროფესიული ეთიკა, ადამიანის უფლებები და სოციალური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო აძლიერებს თსსუ- ის დადებით სოციალურ გავლენას.

მთლიანობაში, თსსუ-ის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ეროვნულ და ევროპულ მიზნებს. მათში კარგად ჩანს უნივერსიტეტის ადგილი უმაღლესი განათლების ფარგლებში, ვინაიდან ხაზგასმულია მაღალი ხარისხის განათლება, კვლევა და პროფესიული მომზადება. აშკარაა ჯანდაცვისა და სოციალური წვლილის გაუმჯობესებისკენ სწრაფვა. ღირებულებები მხარს უჭერს აკადემიურ სრულყოფილებას, მმართველობას, საერთაშორისო თანამშრომლობას და ეთიკურ პასუხისმგებლობას. კარგად ინტეგრირებული მისია და ხედვა, რაც დასტურდება ფაკულტეტისა და გასაუბრების დროს გაცემული პასუხებით, უზრუნველყოფს იმას, რომ თსსუ აგრძელებს თავის ისტორიულ ტრადიციებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამედიცინო განათლებაში როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- თსსუ-ს ვებ-გვერდი
- დანართი 1.1.1 - უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები
- დანართი 1.1.2 - უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები - დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი #24/10; 19.02.2018 წ.) დანართი 1.1.3 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელების სტრატეგია

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ- მ ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი სტრატეგიული განვითარების ჩარჩო, რომელიც მოიცავს შვიდწლიან გეგმას (2018- 2024) და ორ სამწლიან სამოქმედო გეგმას (2018- 2020 და 2021- 2023 წწ.). 2025- 2031 წლების სტრატეგიული გეგმისა და 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები საჯარო განხილვის პროცესშია და დასამტკიცებლად წარედგინება 2024 წლის ბოლოს. ეს გეგმები შეესაბამება თსსუ-ის მისიას გახდეს თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული დაწესებულება. სტრატეგიული მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, მიღწევადი, დროში შეზღუდული და გაზომვადი.

თსსუ- ის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც ზემოდან ქვემოთ, ისე ქვემოდან ზემოთ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყველა სექტორის, მათ შორის ადმინისტრაციის, კვლევითი ინსტიტუტებისა და გარე დაინტერესებული მხარეების საერთო მონაწილეობას. სამუშაო ჯგუფი პრორექტორის ხელმძღვანელობით შეიმუშავებს სტრატეგიულ გეგმას, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს ექვს მთავარ პრიორიტეტს: ინსტიტუციურ განვითარებას, სწავლებისა და სწავლის ხარისხს, კვლევის განვითარებას, სტუდენტურ სერვისებს, უნივერსიტეტის რეიტინგს და საზოგადოებრივ წვლილს, და თსსუ-ს გადაწყვეტილება, შეინარჩუნოს წინა ექვსი სტრატეგიული პრიორიტეტი ადასტურებს განვლილი გზის წარმატებას. ამ პრიორიტეტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბოლო წლების განმავლობაში პროგრესსა და განვითარებაში და ამ კურსის შენარჩუნებით, თსსუ-ს შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ მიღწევებს და გააგრძელოს თავისი წარმატებული სვლა სამედიცინო განათლებაში.

ამ პრიორიტეტების მაგალითებია თსსუ-ში AMEE საერთაშორისო ქსელური ცენტრის დაარსება, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ინოვაციურ მეთოდებს და აკადემიური პერსონალის გადამზადებას. აღნიშნულ ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა მიიღო 20 უმაღლესი სამედიცინო სკოლის 300-მდე წარმომადგენელმა. გარდა ამისა, თსსუ-მ დანერგა პროცედურები ახალგაზრდა დოქტორანტების მხარდასაჭერად სტიპენდიებისა და პოტენციური აკადემიური პოზიციების სახით. უნივერსიტეტის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა 2018 წლის 106 953 699 ლარიდან 2023 წელს 217 468 600 ლარამდე. ეს პრიორიტეტები უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ ინსტიტუციურ ზრდას, საგანმანათლებლო სრულყოფილებას და სოციალურ გავლენას.

თსსუ აქტიურად უწყობს ხელს საზოგადოების განვითარებას საჯარო ლექციების, კონფერენციების, სატელევიზიო გადაცემების, საერთაშორისო რეიტინგების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კამპანიებისა და კვლევის კომერციალიზაციის გზით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დოქტორანტები ჩართულნი არიან ამ აქტივობებში, რაც აძლიერებს თსსუ-ის სოციალურ გავლენას. მაგალითად, თსსუ-მ მონაწილეობა მიიღო Times Higher Education Impact Rankings-ში, სადაც მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავა კატეგორიებში "კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა" და "მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა". COVID-19 პანდემიის დროს თსსუ-ის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ვაქცინაციისა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში.

თსსუ იყენებს მონიტორინგისა და შეფასების მძლავრ სისტემას, რომელიც დაფუძნებულია PDCA (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლზე. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი ამზადებს შესრულების ანგარიშებს და აკეთებს რეკომენდაციებს ცვლილებებისთვის, რაც მუდმივ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. რეგულარული მონიტორინგი გულისხმობს აკადემიური საბჭოსთვის ყოველწლიური ანგარიშების წარდგენას, საჭიროების შემთხვევაში კორექტირებით. ამის მაგალითია თსსუ „გეგმა B“, რომელიც COVID-19-ის პანდემიის დროს შეიქმნა სასწავლო პროცესის მდგრადობის შესანარჩუნებლად, ანუ ჰიბრიდული განათლების მოდელზე გადასვლა. ეს ადაპტაცია აჩვენებს უნივერსიტეტის პროაქტიულ და მოქნილ მენეჯმენტს გარე შეფერხებების საპასუხოდ.

მთლიანობაში, თსსუ-ის სტრატეგიული განვითარების ანგარიში ასახავს კარგად სტრუქტურირებულ და წინდახედულ მიდგომას, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული და ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს. სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმები არის მონაწილეობითი, გამჭვირვალე და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს. თსსუ-ის ყოვლისმომცველი მიდგომა დაგეგმვის, აღსრულების, სოციალური წვლილისა და მონიტორინგის მიმართ უზრუნველყოფს იმას, რომ იგი სწორად მიემართება თავისი მიზნების მისაღწევად და განაგრძობს ევოლუციას, როგორც წამყვანი დაწესებულება სამედიცინო განათლებაში. ფაკულტეტის აქცენტი მისიის მემკვიდრეობაზე და გამოკითხულთა მიერ გამოვლენილი ინფორმირებულობა აძლიერებს ინსტიტუციურ კულტურას, რაც მხარს უჭერს თსსუ-ს სტრატეგიულ განვითარებას. გეგმების პროექტი ხაზს უსვამს თსსუ- ის ერთგულებას მაღალი ხარისხის განათლების, კვლევისა და საზოგადოების გავლენისადმი, რაც უზრუნველყოფს მის მუდმივ ზრდას და შესაბამისობას გლობალურ საგანმანათლებლო ლანდშაფტში.	
მტკიცებულელები/ინდიკატორები • თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრებები • თსსუ-ს ვებ-გვერდი (სტრატეგიული გეგმა) • დანართი 1.1.1 უნივესიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები • დანართი 1.2.1 – შვიდწლიანი (2018- 2024) სტრატეგიული განვითარების გეგმა • დანართი 1.2.2 – ორი სამწლიანი (2018- 2020 და 2021- 2023 წწ.) და 2024 წლის სამოქმედო გეგმა - • დანართი 1.2.3 – შვიდწლიანი (2025- 2031) სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი (2025- 2027) სამოქმედო გეგმის პროექტები (თავი 7) • დანართი 1.2.4 - AMEE International Networking Centreat • დანართი 1.2.5 - თსსუ- ში ახალგაზრდა დოქტორანტების წახალისებისა და დოქტორანტურის მიმზიდველობის გაზრდის პროცედურები • Annex 1.2.6 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში COVID- 19 პანდემიის გამო სამედიცინო განათლების მოდიფიკაცია • დანართი 1.2.8 – თსსუ- ის წვლილი საზოგადოების განვითარებაში • დანართი 1.2.9 – ბრძანებები მონიტორინგისა და სტრატეგიული განვითარების ჯგუფების შექმნის შესახებ; თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ბრძანებები • დანართი 1.2.10 – მონიტორინგის განხორციელების წესი, მონიტორინგის ჯგუფის ბრძანებები • დანართი 1.2.11 – თსსუ ბიზნესის უწყვეტობის გეგმა	
რეკომენდაციები: არ არის მითითებული	
რჩევები: • ხელოვნური ინტელექტის, როგორც ახალი სტრატეგიული პრიორიტეტის, დამატება ადასტურებს თსსუ-ის პროგრესულ მიდგომას და მზაობას ტრანსფორმაციული ტექნოლოგიების მიღებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უკვე	

მიმდინარეობს ადრეული პროექტები, სასურველია თსსუ-მ შეინარჩუნოს სამედიცინო განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გავლენის შესახებ ფართო ხედვა და ღიაობა ახალი იდეებისადმი, შესაძლოა სტრატეგიული გეგმის საჯარო განხილვის გზით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს თსსუ-ს ლიდერობას ინოვაციებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.	
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის	
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ს აქვს რთული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობების ეფექტურ განხორციელებას და მიზნების მიღწევას. თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამის დებულებებში.

თსსუ-ის მმართველი ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრები, ასევე რექტორი, კანცლერი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირჩევენ წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საარჩევნო პროცედურები და მოთხოვნები აღწერილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მმართველი ორგანოების არჩევნების დებულებაში და არის გამჭვირვალე, სამართლიანი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი.

თსსუ ახორციელებს 31 საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც ახორციელებს და ადმინისტრირებას უწევს 6 ფაკულტეტი:

1. მედიცინის ფაკულტეტი
2. მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი;
3. სტომატოლოგიის ფაკულტეტი
4. ფარმაციის ფაკულტეტი
5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი
6. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს თავისი მმართველი ორგანო, რომელშიც შედის ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტის გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან, ძირითადად მიიღება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების სხდომებზე. საჭიროების შემთხვევაში იმართება ადმინისტრაციული სხდომები ან/ და საგანგებო სხდომები. მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ჩაწერა და გაცნობა ხდება დოკუმენტების დამუშავების დებულების შესაბამისად, რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გადაწყვეტილებების დროული მიწოდებისა და თანამშრომლებისთვის მათი ეფექტური გაცნობისთვის თსსუ-ში მოქმედებს დოკუმენტების მართვის ელექტრონული სისტემა (workflow პროგრამული უზრუნველყოფა) და კორპორატიული ელ.ფოსტები.

უნივერსიტეტი აწარმოებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და აქვს მართვის სისტემა (LMS), რომელიც ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროცესში.

2019 წელს თსსუ-მ დააარსა AMEE International Networking Center, რომელიც აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში წარმოადგენს სამედიცინო განათლების რეგიონულ ცენტრს. ამ ცენტრის მთავარი მიზანია სწავლების, სწავლისა და შეფასების უახლესი მეთოდოლოგიების

შესახებ ცოდნის გავრცელება უმაღლესი სამედიცინო დაწესებულებების პროფესორებსა და ინსტრუქტორებს შორის და მათთვის ტრენინგების ჩატარება. ESME (Essential skills in Medical Education) ტრენინგს ატარებენ სამედიცინო განათლების საერთაშორისო ექსპერტები. ოთხი AMEE- ESME კურსის წარმატებით გავლის შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ საერთაშორისოდ აღიარებული AMEE სამედიცინო განათლების სპეციალისტის სერტიფიკატი. თსსუ- ს AMEE ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამედიცინო განათლებასა და კვლევაში, რაც მომგებიანია დაწესებულებებისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. AMEE- ში არის პოტენციური ცვლილებები, რაც რისკებს და შესაძლებლობებს ქმნის ცენტრის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობისთვის და ამჟამად მიმდინარეობს დისკუსიები ამ ცვლილებების პოტენციური ზემოქმედების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ თსსუ-ს კარგად დამკვიდრებულ რეპუტაციას ამ კურსების მიწოდებაში, უნივერსიტეტს შეუძლია განავითაროს მიწოდების სულ უფრო ავტონომიური მიდგომები უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, თსსუ-მა შეიმუშავა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრატეგიებს:

- რეაგირების მიდგომები, რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს სათანადოდ და პროპორციულად მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ რისკზე; აღდგენის შესაძლებლობები, ხანგრძლივობა და აქტივობები; შემარბილებელი ღონისძიებები, რისკების ზემოქმედების შემცირება.

თავისი მისიისა და მიზნების გათვალისწინებით, თსსუ-მ შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მხარს უჭერს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას. ამჟამად თსსუ არის 120- ზე მეტი უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო კლინიკის პარტნიორი მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებების ან/ და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების საფუძველზე (ERASMUS +, HORIZON 2020 და ა.შ.).

2012 წლიდან თსსუ ახორციელებს პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს წამყვანი პროფესორების მოწვევას აშშ-დან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან და ა.შ. ამ სპეციალური პროგრამის დახმარებით 600-მდე პროფესორმა წაიკითხა თემატური ლექციები საბაზისო და/ან კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში და ჩაერთო სხვადასხვა სახის სამედიცინო საქმიანობაში, მათ შორის კონსულტაციებსა და საქველმოქმედო ოპერაციებში თსსუ- ის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

თსსუ ახორციელებს 7 უცხოენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას და ჰყავს 3000- ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი. ჯგუფზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თსსუ- ის საერთაშორისო სამსახურის შესანიშნავმა მუშაობამ სტუდენტების რეკრუტირების, მიღებისა და სტრატეგიული პარტნიორობის კოორდინაციის თვალსაზრისით სხვადასხვა საერთაშორისო გარემოში. დასაფასებელია მათი ერთგულება საუკეთესო პრაქტიკისა და სტრატეგიული შესაბამისობისადმი. ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში გამოვლენილია მაღალი რისკის მქონე ოთხი სფერო, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო სტუდენტების კონტინგენტთან. ამ გამოწვევების საპასუხოდ აღწერილი პრევენციული ღონისძიებები მოითხოვს, რომ თსსუ-მ შეინარჩუნოს ფართო პერსპექტივა ნებისმიერი არასასურველი შედეგის შესაზღუდად.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- თსსუ-ს სტრუქტურა (დანართი 2.1.1)
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები (დანართები: 2.1.2 -2.1.27)
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მმართველი ორგანოების არჩევნების დებულება (დანართი 2.1.28).
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (დანართი 2.1.31)
- თსსუ ბიზნესის უწყვეტობის გეგმა (დანართი 2.1.11)

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- თუ გავითვალისწინებთ თსსუ- ს კარგად დამკვიდრებულ რეპუტაციას AMEE- ESME კურსების მიწოდებაში, უნივერსიტეტს შეუძლია განავითაროს მიწოდების სულ უფრო ავტონომიური მიდგომები AMEE- ში პოტენციური ცვლილებების გათვალისწინებით.

- სასურველია, თსსუ- ს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ შეინარჩუნოს ფართო პერსპექტივა და შეამციროს ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში იდენტიფიცირებული მაღალი რისკების მქონე სფეროები. ეს სფეროები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, საერთაშორისო სტუდენტების ნაკადს. ამ გამოწვევების ეფექტურად გადასაჭრელად საჭიროა გეგმაში გაწერილი პრევენციული ზომების ზედმიწევნითი მონიტორინგი და სტრატეგიული მოქმედება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- თსსუ-ის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისი საერთაშორისო სამსახური სამაგალითოდ ასრულებს სტუდენტების მოზიდვის, მიღებისა და სტრატეგიული პარტნიორობის კოორდინაციას სხვადასხვა საერთაშორისო გარემოში. ნამდვილად დასაფასებელია მათი ერთგულება საუკეთესო პრაქტიკისა და სტრატეგიული შესაბამისობის მიმართ.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია თსსუ-ის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისა და მატერიალური რესურსების უწყვეტ შეფასებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს და მხარს უჭერს თსსუ-ის სხვა ერთეულების ჩართულობას მათ ეფექტურ განხორციელებაში.

თსსუ-ის თითოეულ ფაკულტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის საკუთარი განყოფილება, რომელიც ძირითადად პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხზე. ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე მკაფიოდ არის განსაზღვრული და დაყოფილი.

თსსუ- ის საგანმანათლებლო პროგრამები რეგულარულად ფასდება. შეფასების პროცესში შიდა (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები) და გარე (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და ა.შ.) დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა სპეციალური კითხვარები. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სწავლებისა და სწავლის პროცესის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ევალება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შეგროვებულ შედეგებს და ანგარიშის სახით წარუდგენს კოლეგიურ ორგანოებს შემდგომი მსვლელობისთვის.

თსსუ-მ შეიმუშავა თავისი პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს თვითშეფასების ანგარიში, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ფასდება თვითშეფასების ანგარიშისა და ცირკულარული (3600) შეფასებით. შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლობით.

პროგრამის შეფასების სისტემისგან განსხვავებით, პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა საწყის ფაზაშია და დაწესებულება გეგმავს პერსონალის შეფასების (მათ შორის თვითშეფასების) შედეგების გამოყენების მექანიზმების დაზუსტებას, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვისა და განვითარების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს უნივერსიტეტის სერვისებისა და რესურსების ხარისხს სპეციალური კითხვარების გამოყენებით. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი გაუმჯობესებისთვის. თსსუ მუდმივად უზრუნველყოფდა, რომ პერსონალი შეესაბამება დადგენილ პროტოკოლებს რაიმე მნიშვნელოვანი გამოწვევების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ პროტოკოლებიდან პერიოდული გადახრები გარდაუვალია, ისინი დებატებისა და მუდმივი გაუმჯობესების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს გვთავაზობენ. შესაბამისობისადმი ეს მტკიცე ვალდებულება ასახავს უნივერსიტეტის ერთგულებას შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტები დახარისხის ეფექტური პრაქტიკა. 2021 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის შესაბამისობის სერტიფიკატის მფლობელი, რომელიც მას მიღებული აქვს IAF და IAS აკრედიტაციით. თსსუ-ს აქვს სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ პარამეტრებს, მათ შორის ადამიანურ (აკადემიურ), მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებს, საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნის დინამიკას, სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელს, საგანმანათლებლო პროცესის ანალიზის შედეგებს და ა.შ. სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია აღწერილია სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის წესში და უზრუნველყოფს თსსუ სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულელები/ინდიკატორები • თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრებები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები (დანართი 2.2.1) • საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო ლიტერატურის შეფასება და კრიტერიუმები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (დანართი 2.2.2) • ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების წესი (დანართი 2.2.4) • - სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის წესი (დანართი 2.2.6) • პერსონალის შეფასების წესი (დანართი 2.2.8) • პერსონალის გამოკითხვის შედეგები (დანართი 2.2.10)

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - გამოკითხვების შედეგების პრეზენტაციები (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი განათლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), მათ შორის დისტანციური სწავლება (დანართი 2.2.11)
- სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა თსსუ- ის ინფრასტრუქტურის შესახებ (დანართი 2.2.12)
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა (დანართი 2.2.13)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 2.1.3)
- ადგილზე ვიზიტის დროს თსსუ-ს მიერ მოწოდებული დამატებითი დოკუმენტები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- მიუხედავად იმისა, რომ თსსუ სხვადასხვა გუნდი მკაცრად იცავს პროტოკოლებს, დროდადრო მაინც შეიმჩნევა გარკვეული გადახრები. უწყვეტი განათლება და ადაპტაცია გააძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკას და ხელს შეუწყობს მდგრადობას. ღია კომუნიკაციისა და პროაქტიული უკუკავშირის არხების წახალისება ხელს შეუწყობს გადახრების ადრეულ იდენტიფიცირებას და მოგვარებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მუდმივ ზრდას და წარმატებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტებისა და პერსონალის ეთიკის და ქცევის კოდექსები და განსაზღვრული აქვს რეგულაციის დარღვევებზე რეაგირების პროცედურები. ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი მუხლები ჩართულია როგორც თანამშრომლებთან, ასევე სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე რეაგირების პროცედურები აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დებულება (მუხლი 35), სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი (მუხლი 39) და სტუდენტთა მუშაობის შეფასების წესები.

ეთიკისა და კეთილსინდისიერების დარღვევებს იძიებს და რეაგირებას ახდენს თსსუს ადმინისტრაცია ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრული წესების შესაბამისად. სტუდენტებთან და თანამშრომლებთან გასაუბრებებმა ცხადყო, რომ მათ კარგად იციან ეს რეგულაციები და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათ.

ანტიპლაგიატის წესის თანახმად, უნივერსიტეტში შესრულებული ყველა სამეცნიერო ნაშრომი მსგავსებაზე უნდა შემოწმდეს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის - „Strikeplagiarism“ საშუალებით. შემოწმების შედეგები გადაეგზავნება თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ადგენს ანგარიშს პლაგიატის არარსებობის შესახებ ან მიმართავს აკადემიურ კომისიას შემდგომი განხილვისთვის.

პლაგიატის და აკადემიური თაღლითობის უფრო ეფექტური პრევენციის მიზნით, თსსუ- მ მიიღო დამატებითი ზომები, მაგალითად, გარკვეული თემების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის სილაბუსებში და ახალი წესის შემუშავება ანტიპლაგიატის შესახებ. გასაუბრებების დროს ცხადი იყო, რომ პერსონალის ზოგიერთი წევრი ნაშრომის წარდგენამდე იყენებდა საკუთარ პროგრამულ სისტემებს მის შესამოწმებლად, თუმცა ეს პრაქტიკა არ იყო ფართოდ ხელმისაწვდომი. თსსუ პატივს სცემს აკადემიურ თავისუფლებას, რომელიც გამოცხადებულია მისიითა და წესდებით, და ხელმისაწვდომია თსსუ-ის ვებგვერდზე. თსსუ- ის პერსონალი და სტუდენტები იცნობენ და იზიარებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- ეთიკის კოდექსი (დანართი 2.3.1)
- თსსუ დებულება (დანართი 2.3.2)

- შინაგანაწესი (დანართი 2.3.3)
- თსსუ- ში სტუდენტთა მოსწრების შეფასების წესი (დანართი 2.3.4)
- ანტიპლაგიატის წესი (დანართი 2.3.6)
- თსსუ-ს ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- დაგეგმილი ღონისიებების ფარგლებში, თსსუ- ს შეუძლია წაახალისოს სტუდენტები და პერსონალი გააფართოვონ გამოქვეყნებების მასშტაბები, მაგალითად, შესთავაზოს ავტორებს გამოქვეყნებამდე ანტი- პლაგიატის ინსტრუმენტის - „Strikeplagiarism“ გამოყენება საკუთარი ნაშრომების შესამოწმებლად. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს გააძლიეროს ავტორთა თავდაჯერებულობა საკუთარი ნაშრომის მიმართ, მაგალითად, უნებლიედ ხომ არ დაუშვეს შეცდომები, ვიდრე გულისხმობდეს რაიმე საკითხს პლაგიატთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კერძოდ, „საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესი“. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართულია არა მხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, არამედ დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება ისეთი ეროვნული რეგულაციების მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, დარგობრივი მახასიათებელი, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო (NQF) და ა.შ. უნივერსიტეტში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს სასწავლო გეგმის კომიტეტი, რომელიც მუდმივმოქმედ ორგანოს წარმოადგენს. ეს კომიტეტები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით განიხილავენ საგანმანათლებლო პროგრამებს. სასწავლო გეგმის კომიტეტების შემადგენლობაში შედიან დამსაქმებლებიც. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორების ანალიზს, მათ შორის სიახლეებს შესაბამის სფეროში/ სექტორში და კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების შესახებ გადაწყვეტილება ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების შედეგებს, რომლებიც მოიცავს სტუდენტების, კურსდამთავრებულების უკუკავშირს, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, ასევე სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და პროგრამის მიტოვების მაჩვენებლების შედეგებს. თსსუ გააჩნია ძლიერი საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში. მაგალითები მოიცავს პარტნიორობას შემდეგ დაწესებულებებთან: ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა (სამედიცინო პროგრამები), კარდიფის სპორტისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა და ტარტუს უნივერსიტეტი (მაგისტრატურის პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“), ტიროლის საავადმყოფოს კავშირი- დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (საბაკალავრო პროგრამა საექთნო საქმეში). თსსუ-ში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების რეგულაციები და პროცედურები. როდესაც პროგრამა უქმდება, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ

თითოეულ სტუდენტს შეუძლია სწავლის გაგრძელება ინდივიდუალური სასწავლო გეგმითა და გრაფიკით, რაც თითოეულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შეუფერხებლად დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა.
მტკიცებულელები/ინდიკატორები • თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრებები • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • დანართი 3.1.1 - საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები • დანართი 3.1.2 - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესი • დანართი 3.1.3 - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი • დანართი 3.1.4 - სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მონიტორინგის შედეგები • დანართი 3.1.5. - პროგრამის დასრულების/ მიტოვების მაჩვენებლების მონიტორინგის შედეგები • დანართი 2.2.11 - სტუდენტთა შეფასების შედეგები • დანართი 5.2.6 – კურსდამთავრებულთა გამოკითხვა • დანართი 5.2.7 - დამსაქმებელთა გამოკითხვა
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • თსსუ- ის მიერ ახალი კურსების პროაქტიული დანერგვა საქართველოს პროფესიულ დისციპლინებში დასაქმების სფეროში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ადასტურებს, რომ უსდ ხელს უწყობს ჯანდაცვის განვითარებას. ეს ნაბიჯები შთამბეჭდავია და დადებითად იმოქმედებს ჯანდაცვის სერვისებზე და ხელს შეუწყობს უფრო მყარ პარტნიორობას დამსაქმებლებთან, რომლებიც აშკარად აქტიურად უჭერენ მხარს და ხელს უწყობენ თქვენს ინიციატივებს.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ გთავაზობთ საგანმანათლებლო პროგრამებს სამივე საფეხურზე: საბაკალავრო პროგრამები, ერთ საფეხურიანი პროგრამები (მედიცინის დოქტორი და სტომატოლოგია), სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

თავის საგანმანათლებლო პროგრამებს თსსუ შეიმუშავებს ეროვნული კანონმდებლობისა და ECTS სახელმძღვანელოს შესაბამისად. ეს პროგრამები შემუშავებულია როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი კომპეტენციების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისობას სასურველ სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგები კონკრეტული პროგრამებისთვის, როგორიცაა სამედიცინო პროგრამები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამა, ეფუძნება ეროვნულ დარგობრივ მახასიათებელს. ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მის ყველა კომპონენტს შორის ლოგიკურ კავშირს, რაც საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს საშუალებას აძლევს გონივრულ ვადებში მიაღწიოს სწავლის შედეგებს. პროგრამების სტრუქტურა ლოგიკურია.

სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკრეტული პროგრამები აგებულია საგნებზე და სხვადასხვა დონის ინტეგრირებულ მოდულებზე. მაგალითად, სამედიცინო (ინგლისურენოვანი) პროგრამის მოდულში „სხეულის რეაგირება დაზიანებაზე“ გაერთიანებულია თემები იმუნოლოგიიდან, პათოლოგიიდან, მიკრობიოლოგიიდან და ფარმაკოლოგიიდან; USMD პროგრამის მოდული „გახდი ექიმი“ აერთიანებს თემებს დიაგნოსტიკიდან, ეთიკიდან, ფსიქოლოგიიდან, სოციალური მეცნიერებებიდან; დიპლომირებული მედიკოსის

(ქართულენოვანი) პროგრამის მოდული 22 აერთიანებს თემებს შინაგანი დაავადებებიდან, პედიატრიიდან, ქირურგიიდან და კლინიკური ანატომიიდან.

ECTS კრედიტების განაწილება თითოეულ საგანზე ან მოდულზე შეესაბამება იმ დატვირთვას, რომელიც სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად ესაჭიროება.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს აირჩიონ არჩევითი კომპონენტები. მაგალითად, MD (ინგლისურენოვანი პროგრამა) მოიცავს 30 ECTS არჩევით საგნებს, ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა -12 ECTS, ეპიდემიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - 13 ECTS. მედიცინის პროგრამებში სავალდებულო და არჩევითი საგნების განაწილება შეესაბამება მედიცინაში დარგობრივ მახასიათებელს.

სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა პროგრამა იყენებს ლექციებსა და სემინარებს, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (MD და სტომატოლოგიური მედიცინის პროგრამები) დამატებით მოიცავს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა CBL, PBL, MD პროგრამები - ავადმყოფის საწოლთან სწავლებას, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, პორტფოლიოზე დაფუძნებულ სწავლებას. სტუდენტებს გამორჩეულად მოსწონთ ავადმყოფის საწოლთან სწავლება, რადგან მათი აზრით, ეს ხელს უწყობს უნარების განვითარებას და განსაკუთრებით, იმიტომ, რომ ძირითადად 10- 12 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებში მუშაობდნენ, როგორც ეს მითითებულია რეგლამენტში, თუმცა ზოგჯერ ჯგუფები კიდევ უფრო მცირე რაოდენობის იყო, მაგ. ჯგუფები უფრო მცირე ნაწილებად იყოფოდა, რაც აძლიერებდა სტუდენტების სწავლის გამოცდილებას.

თუმცა, საჭიროა ინტერაქტიული სწავლის შესაძლებლობების გაზრდა სესიებზე. შეტრიალებული საკლასო ოთახის დანერგვამ შეიძლება გააძლიეროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და სწავლა, წაახალისოს სტუდენტები გაეცნონ მასალას მეცადინეობის დაწყებამდე და უფრო აქტიურად ჩაერთონ მეცადინეობაში.

თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების ფართო სპექტრის მიუხედავად (სამედიცინო, სტომატოლოგიური მედიცინა, საექთნო საქმე, ფარმაცია) ჯანმრთელობის სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ცოტა შესაძლებლობა არსებობს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სწავლობენ ცალკე, ერთმანეთთან მნიშვნელოვანი ურთიერთობის გარეშე. ინტერ- და ინტრაპროფესიული სწავლების ხელშეწყობა მნიშვნელოვან გამოცდილებას შეჰმატებს.

თსსუ-მ შეიმუშავა ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესები. ეს პროგრამები უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლისთვის მორგებულ ფორმატებსა და პირობებს, რომელიც დააკმაყოფილებს სტუდენტების მრავალფეროვან მოთხოვნებს, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს და განსხვავებულ აკადემიურ მზაობას.

ინდივიდუალურ განრიგთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა დამტკიცდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. ეს კატალოგი აცნობებს დაინტერესებულ პირებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ დეტალებზე: საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სწავლების ენა, დაშვების წინაპირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ECTS კრედიტის მოცულობა, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, ასევე იმ პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ შემდგომი ინფორმაციის მიწოდება. კატალოგი განთავსებულია თსსუ-ის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- დანართი 3.1.1 - საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- დანართი 3.2.1 - საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
- დანართი 3.2.3 - სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი
- დაბართი 3.2.4- აკადემიური კალენდარი
- დანართი 3.2.1 - პროგრამის დასრულების/ მიტოვების მაჩვენებლების მონიტორინგის შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- თსსუ- მ შესაძლოა იფიქროს საგანმანათლებლო მიდგომის გაუმჯობესების გზების შემუშავებაზე სტუდენტებს შორის ინტერპროფესიული სწავლის ხელშეწყობის გზით ყველა პროფესიულ დისციპლინაში. ერთობლივი სწავლა უკეთ წარმოაჩენს სხვადასხვა პროფესიულ პერსპექტივებსა და პასუხისმგებლობებს, მოამზადებს სტუდენტებს ეფექტური თანამშრომლობისთვის ჯანდაცვის მულტიდისციპლინურ გუნდებში, როდესაც ისინი დასაქმების სფეროში შევლენ.

- იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები დიდი ენთუზიაზმით ავითარებენ უნარ-ჩვევებს კლინიკურ გარემოში ავადმყოფის საწოლთან სწავლების გზით, განსაკუთრებით 10- 12 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებში, ზოგჯერ კი ეს ჯგუფები

კიდევ უფრო მცირე ნაწილებად იყოფა, თსსუ- ს შეუძლია დანერგოს ეს მოდელი ყველა სამედიცინო პროგრამაში. ამ ინიციატივის მიზანია გაზარდოს სტუდენტებისთვის ავადმყოფის საწოლთან სწავლების შესაძლებლობების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს უფრო ინდივიდუალური სწავლის გამოცდილებას კლინიკურ გარემოში.

- თსსუ- ს შეუძლია სწავლის გაღრმავება შეტრიალებული საკლასო ოთახის ტექნიკის შემოღებით. ონლაინ პორტალზე ჩაწერილი ლექციები და გაკვეთილები საშუალებას აძლევს სტუდენტებს წინასწარ გაეცნონ მასალის შინაარსს, რაც მეტ დროს ტოვებს ინტერაქტიული სწავლისთვის. ეს მიდგომა ხელს უწყობს თსსუ- ს მიერ მიწოდებული განათლების ეფექტურობას და იყენებს მათ ძლიერ ვირტუალურ სასწავლო გარემოს მეტი მოქნილობისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თსსუ-ს გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების რეგულაციები, ესენია: „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების წესები“, თსსუ-ის საგამოცდო ცენტრში საგამოცდო პროცედურების მარეგულირებელი წესები და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დებულებები. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებას (2007 წლის 5 იანვარი) "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. მასში გაერთიანებულია შეფასების შესაბამისი ფორმატები, კომპონენტები და მეთოდები (როგორც ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების

შესაფასებლად), რომლის საშუალებითაც დგინდება, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი შეფასების სისტემა: 91- 100 (ფრიადი), 81- 90 (ძალიან კარგი), 71- 80 (კარგი), 61- 70 (დამაკმაყოფილებელი) და 51- 60 (ნაკლებად დამაკმაყოფილებელი). არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება: 41- 50 (ვერ ჩააბარა, მაგრამ სტუდენტს უფლება აქვს კიდევ ერთხელ ჩააბაროს გამოცდა) და 0- 40 (ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ მან სასწავლო კურსი ხელახლა უნდა გაიაროს).

საგნებისა და მოდულების ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. შუალედური შეფასება ფასდება 0-60 ქულით. შუალედური შეფასების კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი დეპარტამენტი თითოეული საგნისა და მოდულისთვის და სტანდარტიზებულია ყველა სტუდენტისთვის კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. შუალედური შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, პროექტები, მონაწილეობა დებატებში, დისკუსიებში, დავალებების შესრულება და ა.შ.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 0- 40 ქულით. საბაკალავრო პროგრამებში დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური 40 ქულიდან 20 ქულა (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% ან მეტი). თუმცა, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (MD და სტომატოლოგიური მედიცინის პროგრამები) გამსვლელი ქულა არის 24 (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60% ან მეტი). საგნისა და მოდულების გამოცდა ტარდება წერითი ან კომბინირებული (წერითი/ზეპირი) სახით.

ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება შეფასების შემდეგი მეთოდები: MCQs, EMQs, OSPE, OSCE, მოკლე შემთხვევის შეფასება, დამკვირვებლის ანგარიში, ჟურნალი/დღიური, პორტფოლიო, სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება (WPBA) და ა.შ. OSCE და OSPE გამოიყენება მრავალ დისციპლინაში (მაგალითად, OSCE- შინაგანი მედიცინა, პედიატრია და OSPE- ოპერაციული ოდონტოლოგია, ენდოდონტიის ფანტომური კურსი). WPBA-სთვის გამოიყენება შემდეგი კომპონენტები: Mini- CEX (მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო), DOPS (პროცედურული უნარები პირდაპირი დაკვირვების ქვეშ), CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია). OSCE ახლა ასევე გამოიყენება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამაში.

თსსუ შეესაბამება OSCE-ს შეფასების მიდგომების გამოყენებას. თუმცა, სფეროზე დაფუძნებული შეფასებები საშუალებას იძლევა უფრო მოწინავე OSCE სადგურებისთვის, რომლებიც უფრო მაღალი დონის უნარებს ამოწმებს. სფეროზე დაფუძნებული OSCE უკვე გამოიყენება ამერიკულ სამედიცინო პროგრამაში. ვინაიდან, თსსუ მუშაობს სფეროზე დაფუძნებული სადგურების რაოდენობის გაფართოებაზე, შესაძლებელია შეფასების განვითარების აქტივობების ინტეგრირება ყველა იმ პროგრამაში, რომელიც იყენებს OSCE-ს უნარების შეფასების საერთო ხარისხისა და ყოვლისმომცველობის გასაუმჯობესებლად.

შეფასების სისტემა ასევე მოიცავდა პროფესიონალიზმის შეფასებას. მაგალითად, პროფესიონალიზმის შეფასება (MDUS პროგრამა) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ეთიკური ქცევა, დავალებების დროულად შესრულება, თანამშრომლებთან და სტუდენტებთან კომუნიკაცია და ა.შ. 2021/2022 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტმა შემოიღო EPA-ზე (მინდობილი პროფესიული საქმიანობა) დაფუნებული შეფასება. შეფასების სისტემას სტუდენტები წინასწარ ეცნობიან. შეფასების სისტემა და კრიტერიუმები აღწერილია ყველა სილაბუსში. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თანაბარ და სამართლიან მოპყრობას. თსსუ-ში არის შეფასების გასაჩივრების სისტემა. სტუდენტები იცნობენ აპელაციის პროცედურებს.

სტუდენტების კარიერისთვის უკეთ მოსამზადებლად, გრძელვადიანი პორტფოლიოს დანერგვას შეუძლია დააკავშიროს აკადემიური მიღწევები პროფესიულ ზრდასთან.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- დანართი 3.1.1 - საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- დანართი 3.3.1 - სტუდენტთა მოსწრების შეფასების წესი
- დანართი 3.3.2 - გამოცდებისა და უნარების შეფასების ცენტრში გამოცდების ჩატარების წესი
- დაბართი 3.2.5- აკადემიური კალენდარი
- დანართი 6.1.22 - მაგისტრატურის დებულება
- დანართი 6.1.19 - ფაკულტეტებზე დოქტორანტურის დებულება
- დანართი 6.1.21- სადისერტაციო საბჭოს დებულება

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- საგანმანათლებლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, თსსუ- მა ასევე შეიძლება განიხილოს სტუდენტთა გრძელვადიანი პორტფოლიოს შექმნა. ეს დაეხმარება სტუდენტებს განავითარონ პროფესიული თვისებები რეფლექსიური პრაქტიკის გზით სწავლის განმავლობაში და მის ფარგლებს გარეთ. პორტფოლიოს ინტეგრირება უნივერსიტეტის ჩარჩოებში ხელს შეუწყობს აკადემიური და პროფესიული ზრდის დოკუმენტირებას, უწყვეტ სწავლასა და კარიერულ განვითარებას.

- როგორც ცნობილია, თსსუ მუშაობს სფეროზე დაფუძნებული OSCE- ს სადგურების რაოდენობის გაფართოებაზე, ამიტომ სასურველია იგი გადავიდეს შეფასების განვითარების აქტივობების ინტეგრირებაზე როგორც არსებულ, ასევე ამერიკულ

სამედიცინო პროგრამებში. ამით უსდ გაზრდის უნარების შეფასების საერთო ხარისხსა და ყოვლისმომცველობას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების მიღწევას. თსსუ-ს პერსონალი შედგება აკადემიური, სამეცნიერო, კვლევითი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისგან, ასოცირებული პროფესორებისგან და ასისტენტ-პროფესორებისგან. უნივერსიტეტის უპირველეს მიზანს მაღალკვალიფიციური პროფესორების და მკვლევრების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შერჩევა ღია

კონკურსის საფუძველზე ხორციელდება, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე და 35 -ე მუხლების და "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის და საკონკურსო კომისიის დებულების" შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის 27 აპრილის N23/6 დადგენილებით, სადაც განსაზღვრულია კონკურსში წარსადგენი დოკუმენტები სია და აღწერილია კონკურსის ჩატარების წესი. აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე პერსონალის შერჩევა ხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ, მონაწილეების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. საკონკურსო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე აკადემიური საბჭო საკონკურსო პოზიციებზე ამტკიცებს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური პერსონალის კონკურენტული შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კლინიკური აქტივობის შეფასებას (კლინიკურ სპეციალობებში) და უცხო ენების ფლობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (თსსუ-ში) აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე პირების შერჩევა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ინსტიტუციური და სამართლებრივი რეგულაციების დაცვას. აღნიშნული მიიღწევა საკონკურსო კომისიის მეშვეობით, რომელიც ახორციელებს მონაწილის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის გამჭვირვალე განხილვას, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას და კრიტერიუმებს. აღნიშნული კრიტერიუმებია კლინიკური აქტივობა (არსებობის შემთხვევაში), გამოცდილება და უცხო ენის ცოდნა. საკონკურსო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე აკადემიური საბჭო განიხილავს და საკონკურსო პოზიციებზე ამტკიცებს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს.

ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი მათი მიმართულებებიდან გამომდინარე ამყარებს კომუნიკაციას პროგრამების სასწავლო გეგმების საბჭოებთან. ისინი მუდმივად აახლებენ ლიტერატურას, მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში სხვადასხვა ქვეყნებში: ავსტრია, ულმი, გერმანია. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, უნივერსიტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს აკადემიური განვითარების ცენტრი და AMEE საერთაშორისო ქსელის ცენტრი. აკადემიური განვითარების ცენტრი მხარს უჭერს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას და აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ორ წელიწადში ერთხელ ატარებს ტრენინგ კურსებს სწავლის ახალი მეთოდების მიდგომებთან დაკავშირებით.

2022 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ) აქტიურად მონაწილეობს ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) ყოველწლიურ კონფერენციებში. ამ დროის განმავლობაში AMEE ცენტრი ყოველწლიურად აქვეყნებს 12 რეფერატს, აღნიშნულიდან 8 - 9 პუბლიკაცია ქვეყნდება თსსუ-ს წარმომადგენლების თანაავტორობით.

გარდა ამისა, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 20 უმაღლესი სამედიცინო სკოლის 300 - მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა აკადემიური განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგ კურსებში. მათ შორის, 70 მონაწილეს, თსსუ-ს აკადემიური პერსონალის 50 წევრის ჩათვლით, გადაეცა AMEE- ს სპეციალისტის სერტიფიკატი სამედიცინო განათლებაში.

2021 წლიდან 2023 წლამდე 60 - მდე პირმა, რომლებიც წარმოადგენენ განმცხადებელთა 85% - ს, წარმატებით გაიარა ახალი პერსონალისთვის აუცილებელი გასაუბრების პროცესი. დეპარტამენტის წევრობისთვის და უცხოენოვან ჯგუფებთან მუშაობისთვის, აუცილებელია კანდიდატები ფლობდნენ უცხო ენას, რაც ფასდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ გასაუბრების ან ატესტაციის გზით. მხოლოდ მათ, ვინც გაივლის აღნიშნულ შეფასებას, მიენიჭებათ აკადემიურ საქმიანობაში ჩართვის უფლება.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია თსსუ-ს, მთლიანობაში ჰყავს 407 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 85 პროფესორი, 175 ასოცირებული პროფესორი და 147 ასისტენტ-პროფესორი. აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკია 58 წელი, პროფესორების საშუალო ასაკი 63 წელი, ასოცირებული პროფესორების 57 წელი და ასისტენტ- პროფესორების 55 წელი. სამეცნიერო პერსონალი შედგება 72 საშტატო ერთეულისაგან, რომელთა საშუალო ასაკია 59 წელი. გარდა ამისა, ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალი განისაზღვრება 292 თანამშრომლით (მათ შორის დროებითი ხელშეკრულებით დასაქმებული დამხმარე პერსონალი). პერსონალის საშუალო ასაკია 55 წელი.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან არის 0,87. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან არის 0,05, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან 0,03. საკადრო დონე აკმაყოფილებს მარეგულირებელ მოთხოვნებს.

უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს დამხმარე პერსონალს, რომელიც სხვადასხვა ლიდერის როლის პარალელურად ჩართული იქნება კვლევასა და სწავლებაში. მომავალი აკადემიური პერსონალის აღზრდის გეგმის შემუშავების აუცილებლობის აღიარებით, თსსუ - მ ყველა მიმართულებით შექმნა გადამზადების პროგრამები ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის აღზრდის და წახალისების მიზნით, რომლებიც სამომავლოდ შეცვლიან ამჟამინდელ აკადემიურ პერსონალს. დაფინანსდა 37 პირი, მათგან ცხრას მიენიჭა დოქტორის ხარისხი, ხოლო სამი უკვე შეუერთდა თსსუ - ს აკადემიური პერსონალის გუნდს.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- დანართი 4.1.1 – თსსუ - ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - https://tsmu.edu/ts/images/dxp/1607970_1666007970.pdf;

- დანართი 4.1.2 - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/16010403_1666010403.pdf;
- დანართი 4.1.3 – თსსუ - ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/169657_1666696557.pdf;
- დანართი 4.1.4 - თსსუ - ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი;
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/1696950_1666696950.pdf;
- დანართი 4.1.5 - თსსუ - ში პრემიის, ბონუსების, სუბსიდიების და ფულადი დანამატების ოდენობის განსაზღვრის პროცედურა. https://tsmu.edu/ts/images/dxp/16010527_1666010527.pdf;
- დანართი 4.1.6 - აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსების ჩატარების პროცედურები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის მარეგულირებელი დებულება;
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/16840745_1684407455.pdf;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებების სახეები/ფორმები, პერსონალის პირადი საქმეები;
- დანართი 4.1.7 - ინგლისურად (ან სხვა ენაზე) მოსაუბრე მასწავლებლების სერტიფიცირება;
- დანართი 4.1.8 - დამხმარე პერსონალის შერჩევის პროცედურა (https://tsmu.edu/ts/images/dxp/1607484_1666007484.pdf);
- დანართი 4.1.9 – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/170912314_1709123114.pdf;
- დანართი 4.1.10 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის აფილირების წესი;
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/16010564_1666010564.pdf დანართი 4.1.11 – აკადემიური განვითარების ცენტრი https://tsmu.edu/ts/content/2/146/131/0/0/0;
- დანართი 4.1.12 – AMEE – ESME კურსები https://tsmu.edu/ts/content/2/146/259/344/0/0;
- დანართი 4.1.13 - თსსუ- ში ახალგაზრდა დოქტორანტების წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდა პირების მოზიდვის გაუმჯობესების პროცედურები;
- დანართი 4.1.14 - თსსუ - ში ემერიტუსის წოდების მინიჭების და ანაზღაურების წესი;
- tsmu.edu/ts/images/dxp/169715602_1697115602.pdf.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკი არის 58 წელი, აქედან პროფესორების საშუალო ასაკი - 63 წელი, ასოცირებული პროფესორების - 57 წელი, ხოლო ასისტენტ- პროფესორების - 55 წელი, აუცილებლად უნდა შემცირდეს საერთო ასაკი, განსაკუთრებით ასისტენტ-პროფესორებს შორის. ეს მიდგომა არა მხოლოდ გააუმჯობესებს ინსტიტუციონალური მემკვიდრეობის დაგეგმვას, არამედ მოახდენს ჯანდაცვის პრაქტიკაში აქტიურად ჩართული პროფესორ-მასწავლებლების პროდუქტიულობას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთ - ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრა. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დატვირთვა, იმისათვის, რომ უზრუნველყონ არა მხოლოდ სასწავლო, არამედ კვლევითი და საკონსულტაციო აქტივობები.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება წარმოადგენს თსსუ - ს რეფორმის ერთ - ერთი პრიორიტეტს და მიზნად ისახავს დამსახურებაზე დაფუძნებული მართვის ინსტიტუციონალიზაციას. ამ მიზნით უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი პრიორიტეტები, რომლებიც განსაზღვრავენ მიღწეული შედეგების გაუმჯობესების შენარჩუნებას მოცემულ სტანდარტთან მიმართებით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და კვლევითი და მათზე დაკისრებული სხვა აქტივობების და მოვალეობების სათანადო შესრულებას. სასწავლო / კვლევითი პერსონალის სამუშაო დატვირთვა შეიძლება განახლდეს და დადასტურდეს ყოველ სემესტრში. აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა მოიცავს სასწავლო - მეთოდურ და სამეცნიერო - კვლევით საქმიანობას, აკადემიურ კონსულტაციებს,

საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას და კლინიკურ სპეციალობებში - აქტიურ კლინიკურ საქმიანობას.

დატვირთვის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული საათობრივი დატვირთვა განისაზღვრება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ რექტორისთვის წარდგენილი და რექტორის შესაბამისი ბრძანებით გაფორმებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. სხვა უნივერსიტეტებში დასაქმებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა იმართება თსსუ - სთან შეთანხმებით, თსსუ - ს მიერ განსაზღვრული დატვირთვის პირობების მკაცრი დაცვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო საათები რეგულირდება თსსუ-ს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით. უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს კვირაში 39 საათს, მათ შორის 32 საათს თავის განყოფილებებში. კლინიკური და თეორიული დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ყოველკვირეული საკონტაქტო საათები განსხვავდება შემდეგნაირად: პროფესორებს განსაზღვრული აქვთ მაქსიმუმ 11 საათი, ასოცირებულ პროფესორებს 16 საათამდე და ასისტენტ-პროფესორებს 21 საათამდე. სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, მოწვეული მასწავლებლების დატვირთვა განისაზღვრება ინდივიდუალურად, დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ხელფასისა და საათობრივი ანაზღაურებისა, პერსონალის მოტივაციისა და დაჯილდოების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პრემიების, დანამატების, დახმარებისა და დაჯილდოების სისტემას. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობენ წამყვანი საერთაშორისო სამედიცინო სკოლებიდან მოწვეული პროფესორები და სტაბილურად იზრდება მოწვეული და პროფესორების რაოდენობა.

თსსუ -ში მოქმედი დატვირთვის სქემა შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- დანართი 4.2.1 - თსსუ - ს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა;
- განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა -
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/160782_1666007782.pdf;
- დანართი 4.2.2 – დეპარტამენტის საათობრივი დატვირთვის ნიმუში;
- დანართი 4.2.3 - აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის ნიმუში;
- დანართი 4.2.4 – 2023 - 2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური დატვირთვა;
- პერსონალის ზეგანაკვეთური და უცხოენოვანი განათლება
- საათობრივი დატვირთვა პროგრამებზე დანართი 4.2.5 თანხმობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის შესახებ
- დანართი 4.2.6 - მოწვეული პროფესორები
- დანართი 4.2.7 - მოწვეული პერსონალი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

- მოწვეული პროფესორის სტატუსის მინიჭების წესი და მოწვეული პროფესორის
- სტატუსი -
- დანართი 4.2.8 - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამის განსაზღვრის მეთოდოლოგიის
- შესაბამისად

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (თსსუ) შემუშავებული აქვს ყოვლისმომცველი მექანიზმები სტუდენტის სტატუსის შეძენის, შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე სტუდენტების მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების პროცესების დარეგულირების მიზნით. აღნიშნული მექანიზმები შეესაბამება თსსუ - ს წესდებას და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას. თსსუ ავლენს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მტკიცე შესაბამისობას მისი დეტალური და სტრუქტურირებული პოლიტიკით. ინსტიტუციის მიერ ეროვნული და შიდა რეგულაციების დაცვა უზრუნველყოფს სტუდენტის სტატუსისა და მობილობის მართვის გამჭვირვალე, სამართლიან და თანმიმდევრულ მიდგომას. მიღების პროცესი: ეროვნული გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა უზრუნველყოფს მიღწევებზე დაფუძნებულ მიღებას. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების შესახებ დებულება და სხვა განსაკუთრებული შემთხვევები იძლევა ინკლუზიურობისა და მოქნილობის საშუალებას.

მობილობა: წელიწადში ორჯერ მობილობის პროცესის განხორციელება, შიდა მობილობის ჩათვლით, ხელს უწყობს სტუდენტის მოქნილობას და აკადემიურ პროგრესს. განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს კანონიერ პროცესებს და სათანადო დოკუმენტაციას.

შეჩერება და აღდგენა: სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები ასახავენ სტუდენტის საჭიროებების და პოტენციური ცხოვრებისეული გარემოებების ყოვლისმომცველ გაგებას. სტატუსის აღდგენის დეტალური პროცედურა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას შემაფერხებელი გარემოებების გარეშე.

თსსუ - ს ჩამოყალიბებული აქვს ყოვლისმომცველი ჩარჩო სტუდენტების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. აღნიშნული ჩარჩო გათვალისწინებულია მრავალ მარეგულირებელ დოკუმენტში და სამოქმედო პრაქტიკაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების სათანადო ინფორმირებას და უფლებების დაცვას მათი აკადემიური მოგზაურობის განმავლობაში.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები (მათ შორის თვითმმართველობასთან)
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების 60 კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის ფორმის გამოყენების, გაცემის და აღრიცხვა - ანგარიშგების წესი;

- თსსუ - ს და სამივე საფეხურის სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა შიდა მობილობის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი;
- წინამორბედი განათლების აღიარების მაგალითები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ) სტუდენტებს სთავაზობს ძლიერ საკონსულტაციო სერვისს, რომელიც დაეხმარებათ მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. ძირითადი ელემენტები მოიცავს: 1.

ფაკულტეტის დეკანი/პროგრამის ხელმძღვანელი: უწევს სტუდენტებს კონსულტაციას ეფექტური სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. "სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის" მიხედვით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შემუშავებულია მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; 2. აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა: თსსუ - ს რეგულაციების თანახმად, აკადემიურმა პერსონალმა კვირაში მინიმუმ 2 საათი უნდა დაუთმოს სტუდენტების კონსულტაციებს; 3. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური: უძღვება სტუდენტების განათლების დაგეგმვას და აკადემიურ მიღწევებს; 4. სტუდენტური სერვისების სამსახური: ფუნქციონირებს, როგორც შუამავალი უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთეულებს შორის, უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას, სტუდენტური პრობლემების გადაჭრას და დროულ კომუნიკაციას; 5. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები: აცნობს სტუდენტებს საუნივერსიტეტო რეგულაციებს და უზრუნველყოფს დახმარებას სასწავლო პროცესის საკითხების მოგვარებაში; 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური: ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს, უკუკავშირის შეგროვებას საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესების მიზნით. თსსუ - ს სტუდენტური საკონსულტაციო სერვისები კარგად არის სტრუქტურირებული და მოიცავს სხვადასხვა დამხმარე მექანიზმებს სტუდენტების წარმატების გაუმჯობესების მიზნით. აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულო საკონსულტაციო საათები უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას, ხოლო გამოკითხვების შედეგად მიღებული უკუკავშირის ინტეგრირება მეტყველებს აქტიურ და განვითარებად სისტემაზე. თსსუ ეფექტურად აკმაყოფილებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტს. ყოვლისმომცველი მხარდაჭერის სტრუქტურა, მათ შორის სავალდებულო აკადემიური საკონსულტაციო საათები და სპეციალური მხარდამჭერი ოფისები, დემონსტრირებს დაწესებულების ერთგულებას აკადემიური ბრწყინვალების და სტუდენტთა წარმატების მიმართ.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ურთიერთობის და კარიერული განვითარების სამსახურის მეშვეობით თსსუ უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის ფართო სერვისებს. ძირითადი ინიციატივები მოიცავს: 1. დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობებს: ყოველწლიურად იგზავნება ინფორმაცია 300 - მდე ვაკანსიის შესახებ, იმართება დასაქმების ფორუმი 50 - ზე მეტი კომპანიის მონაწილეობით; 2. კარიერის დაგეგმვა: ყოველწლიურად ეწყობა კარიერის დაგეგმვის და განვითარების დაახლოებით 20 შეხვედრა; სტაჟირების პროგრამები: ზამთრის და საზაფხულო სკოლების სტაჟირების პროგრამები სტუდენტებს აძლევს საშუალებას მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. თსსუ - ს კარიერული მხარდაჭერის სერვისები ყოვლისმომცველია და სტუდენტებს სთავაზობს უამრავ დასაქმების და კარიერული განვითარების შესაძლებლობას. პროაქტიული მიდგომა დასაქმების ფორუმების, სტაჟირების და დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაციის ორგანიზებაში უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების სათანადო მზოაბას თავიანთი პროფესიული კარიერისთვის. თსსუ - ს კარიერული მხარდაჭერის სერვისები მნიშვნელოვნად აჭარბებს სტანდარტულ მოთხოვნებს. დაწესებულების ერთგულება სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებისადმი დასტურდება მისი მრავალმხრივი პროგრამებით და ინიციატივებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კარიერული განვითარების პორტალი და დამსაქმებელთა ძლიერი პარტნიორობა.

თსსუ-ს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები დაბალი სოციალურ - ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის არის ყოვლისმომცველი და უზრუნველყოფს სტიპენდიებს, ფინანსურ დახმარებას და ანაზღაურებად სტაჟირებას. დაწესებულების რეაგირება COVID - 19 პანდემიის დროს ხაზს უსვამს მის ვალდებულებას, დაეხმაროს სტუდენტებს კრიზისის დროს. ფინანსური დახმარების მრავალფეროვანი სპექტრი და პროაქტიული რეაგირება სტუდენტების საჭიროებებზე დემონსტრირებს მხარდაჭერის ძლიერი სისტემის არსებობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამოირჩევა სტუდენტების ინფორმირებულობის და ჩართულობის უზრუნველყოფით მრავალფეროვან საუნივერსიტეტო დონის, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და ღონისძიებებში. მრავალი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, სტუდენტური ორგანიზაციების მრავალფეროვნების და სტუდენტური ინიციატივების ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, თსსუ ხელს უწყობს ისეთი გარემოს შეთავაზებას, სადაც სტუდენტები აქტიურად იქნებიან ჩართულნი და შეძლებენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ და ისარგებლონ მათი აკადემიური და კლასგარეშე აქტივობებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ავლენს მტკიცე ვალდებულებას სტუდენტების სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში ინფორმირებულობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით აქცენტი კეთდება საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებებზე. უნივერსიტეტის სტრუქტურირებული მიდგომა, საწყისი ორიენტაციის და ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფით, კულტურული აქტივობებით და კარიერული განვითარების მუდმივი მხარდაჭერით, ხელს უწყობს ყოვლისმომცველ და ინკლუზიურ გარემოს. უცხოელი სტუდენტების აქტიური ჩართულობა მმართველობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო მეტად აძლიერებს მათ ინტეგრაციას და მონაწილეობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. აღნიშნული მრავალმხრივი მხარდაჭერის სისტემა ხაზს უსვამს თსსუ - ს ერთგულებას ენერგიული და ინკლუზიური აკადემიური საზოგადოების ხელშეწყობაზე.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები;
- თსსუ - ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ“;
- სტაჟირების დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები, მათ შორის მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათი კარიერისა და აკადემიური განვითარების შესახებ;

- 2014 - 2017 წლების მონაცემები თსსუ - ს სტუდენტების / რეზიდენტების უცხოური სტაჟირებების შესახებ ბილატერული პროგრამების მეშვეობით;
- ინფორმაცია 2001 - 2017 წლებში თსსუ - ს სტუდენტების მონაწილეობის შესახებ ევროკავშირის საერთაშორისო მობილობის პროექტებში (Erasmus+, Erasmus Mundus);
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
- სტუდენტების დღიურები და სერტიფიკატები;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სერთიფიკატი თსსუ - სსტუდენტების მიერ საქველმოქმედო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდასაჭერად გაწეული საქმიანობის შესახებ;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- თსსუ - ს რექტორის 02/06/2022 ბრძანება „გაცვლით პროგრამებში მონაწილე პირთა შერჩევის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ღონისძიებები“;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
- 2023 წელს განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი;
- 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი;
- სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

სასურველია თსსუ-მ გააძლიეროს საერთაშორისო სტუდენტებისათვის კარიერული განვითარების მხარდაჭერა, კერძოდ, მშობლიურ ქვეყნებში არსებული საწყისი კარიერული შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით დამატებითი მიზნობრივი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თსსუ ახორციელებს კვლევით საქმიანობას როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, ასევე მონაწილეობას იღებს საერთაშორისო მულტიცენტრულ კლინიკურ კვლევებში. თსსუ-ს კვლევითი პროფილი მოიცავს ფუნდამენტურ თეორიულ, ექსპერიმენტულ და კლინიკურ კვლევებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სწავლების ინტეგრაციას, კვლევას და მიღებული შედეგების კომერციალიზაციას.

თსსუ - ს შემუშავებული აქვს როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის 2025 - 2031 წლების სტრატეგიულ გეგმაში. სტრატეგია ეფუძნება უსდ-ს მისიას და ძირითად ფასეულობებს, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კრიტიკული აზროვნების, ინოვაციების და აკადემიური უნარების განვითარების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას; საქართველოში ცოდნის საზოგადოების და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას და წვლილის შეტანას.

სტრატეგიის მიზანია შექმნას ეფექტური სისტემა ინოვაციური კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება ადგილობრივ / საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით. სამეცნიერო საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სტრატეგია განსაზღვრავს სათანადო ბაზრის კვლევას, პოტენციური პარტნიორების მოძიებას და სხვა აქტივობებს.

თსსუ ახორციელებს აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამებს: „მედიცინა“, „სტომატოლოგია“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „ფარმაცია“. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს 10 სამაგისტრო პროგრამას, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით და ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას, სახელწოდებით „ბიოსამედიცინო ინჟინერია". DAAD - SDG პროექტის ფარგლებში მომზადდა კურსი „მზადება სამეცნიერო კარიერისთვის“.

დაფინანსდა სამი საერთაშორისო და ათი ეროვნული საგრანტო პროექტი, რომელშიც თსსუ მონაწილეობს როგორც წამყვანი ან პარტნიორი ორგანიზაცია. 2023 წელს თსსუ - ს

აკადემიურმა და სამეცნიერო პერსონალმა გამოაქვეყნა 422 სამეცნიერო სტატია, მათგან 212 უცხო ენაზე, 4 მონოგრაფია, 13 სახელმძღვანელო (1 გამოცემულია საზღვარგარეთ), 2 გზამკვლევი და მოიპოვა 1 პატენტი. H- ინდექსზე და გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით შესაძლებელია წარმატებული მკვლევრების გამორჩეულად წახალისება.

ჟურნალი „საქართველოს ბიომედიცინის ამბები“, რომელსაც ჰყავს საერთაშორისო რედაქტორთა საბჭო და აქვს კარგი ხარისხის ფორმატი, ძალიან წარმატებულია და წარმოადგენს კარგ შესაძლებლობას თსსუ -ს პუბლიკაციებისათვის. თსსუ - ს ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკის კომიტეტს მიენიჭა რეგისტრაცია და საერთო ფედერალური გარანტია აშშ - ს ჯანმრთელობის და ადამიანური მომსახურების კვლევის სუბიექტების დაცვის ბიუროს მიერ.

2023 წელს დაცული იქნა 37 სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა 28 დოქტორანტს, სტომატოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი 3 დოქტორანტს, ფარმაციის დოქტორის აკადემიური ხარისხი 2 დოქტორანტს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის ხარისხი 4 დოქტორანტს. 2023 წელს სადოქტორო დისერტაციების დაცვის მაჩვენებელმა შეადგინა 18,9%.

დოქტორანტის წლიური ანგარიშის შეფასება განხორციელებული კვლევის შესახებ რეგულირდება თსსუ - ს დოქტორანტურის დებულებით. თსსუ - ს წარმომადგენლობითმა საბჭომ მიიღო დადგენილება „თსსუ - ს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელების დოქტორანტებთან მუშაობისთვის საჭირო საკონტაქტო საათების რაოდენობას.

თსსუ - ს პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში და ჩართულია როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში
- დანართი 6.1.3 - SCOPUS მონაცემთა ბაზაში გამოქვეყნებული რეიტინგის ანალიზი 2012-2024.
- დანართი 6.1.4 - თსსუ - ში მოქმედი სადოქტორო კვლევითი პროექტები 2023 წელს
- დანართი 6.1.7 - თსსუ - ში მოქმედი სამაგისტრო პროგრამები
- დანართი 6.1.8 - თსსუ - ში განხორციელებული / მიმდინარე სამეცნიერო - კვლევითი პროექტები
- დანართი 6.1.9 - საქართველოს ბიომედიცინის ამბები -
- დანართი 6.1.10 – 2023 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები
- დანართი 6.1.13 - 2023 წელს თსსუ - საკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა.
- დანართი 6.1.14 - სადოქტორო და სამაგისტრო კვლევითი პროექტები, რომელთა ზედამხედველობა / კონსულტაცია ხორციელდება უცხოელ პარტნიორებთან ერთად.

- დანართი 6.1.15 - საერთაშორისო დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული კვლევა თსსუ-ში
- დანართი 6.1.16 - თსსუ - ში განხორციელებული სასწავლო კურსები, რომლებიც ემსახურება კვლევითი უნარ - ჩვევების ჩამოყალიბებას განათლების პირველ საფეხურზე.
- დანართი 6.1.17 - ახალგაზრდა დოქტორანტების წახალისების და სადოქტორო პროგრამებზე ახალგაზრდების მოზიდვის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების წესი.
- დანართი 6.1.18 – დოქტორანტურის დებულება.
- დანართი 6.1.19 - აკადემიური პერსონალის დატვირთვა.
- დანართი 6.1.20 - სადისერტაციო საბჭოს დებულება.
- დანართი 6.1.21 - თსსუ - ს მაგისტრატურის დებულება.
- დანართი 6.1.22- 2023 წელს დაცული სადოქტორო დისერტაციების სია.
- დანართი 6.1.23 - პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის მემორანდუმები.
- ინტერვიუები:
- აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები
- თვითშეფასების ჯგუფი
- პროგრამების ხელმძღვანელები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- დოქტორანტები
- სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები
- კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელები/წარმომადგენლები
- პრორექტორი კვლევის მიმართულებით
- სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები,
- ჟურნალის „საქართველოს ბიოსამედიცინო ამბების“ მთავარი რედაქტორი.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია უნივერსიტეტმა შემდგომში განავითაროს ჟურნალი „საქართველოს ბიომედიცინის ამბები“ და საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის მეშვეობით და კარგი შესაძლებლობებით გახადოს ჟურნალი იმპაქტფაქტორიანი >0.5.

- როგორც დაგეგმილი კვლევის კომერციალიზაციის განვითარების ძალისხმევის ნაწილი, თსსუ - მ შესაძლებელია, წაახალისოს დამატებითი გზები აღნიშნული ტიპის აქტივობების დროულად გასაფართოებლად, იმისათვის რომ შეინარჩუნოს და გაზარდოს ენთუზიაზმი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ - ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. თსსუ მხარს უჭერს აკადემიურ და კვლევით პერსონალს / სამეცნიერო - კვლევით ერთეულებს, მიიღონ დაფინანსება სხვადასხვა დამფინანსებელი ორგანიზაციებიდან თავიანთი კვლევის განსახორციელებლად და კვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. შემუშავების პროცესშია სამეცნიერო პუბლიკაციების დაფინანსების ფინანსური მხარდაჭერის მოქნილი მექანიზმი.

თსსუ უზრუნველყოფს დახმარებას იურიდიული საკითხებების, საგრანტო განაცხადის დაფინანსების, მომზადების, შეფასებისა და წარდგენის პროცესებში. უსდ უზრუნველყოფს კვლევაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მხარდაჭერის ეფექტურ სისტემას, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების ჩართულობას და მათი კვლევითი ინიციატივებისა და აქტივობების ეფექტურ მხარდაჭერას. ჩამოყალიბების პროცესშია შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტების შეფასების და დაფინანსების მოქნილი და გამჭვირვალე სისტემა.

თსსუ - ს 35 წლამდე დოქტორანტებისთვის დადგენილი აქვს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტების წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გაუმჯობესების ღონისძიებები და პროცედურები“ (თსსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 26 ნოემბრის დადგენილება N23/12. 2019). სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სტიპენდიით, წელიწადში 24 000 ლარით,

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში (3 წელი) და კვლევისა და სწავლის დაფინანსებით – 10 000 ლარი.

თსსუ მოტივაციას უქმნის და მხარს უჭერს ახალგაზრდა მკვლევრებს და მათ კვლევებს, მათ შორის უცხოელ კოლეგებს. უსდ-ს გაფორმებული აქვს რამდენიმე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან. თსსუ - ში განხორციელებული და ამჟამად მოქმედი რამდენიმე სადოქტორო და სამაგისტრო სწავლების გარკვეული ნაწილები მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის სფეროებში სრულდებოდა / სრულდება უცხოეთის საუნივერსიტეტო კლინიკებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანია, შვეიცარია, თურქეთი, პოლონეთი).

თსსუ მონაწილეობს და პერსონალმა გაიარა ტრენინგი "Erasmus+ Capacity Building Project (CBHE)SQUARE" პროექტში. "Erasmus+ Capacity Building Project (CBHE)SQUARE" პროექტის ფარგლებში, ექსპერტებმა ბულგარეთიდან, ლიტვიდან, მოლდოვიდან და ყაზახეთიდან შეაფასეს თსსუ - ს "მედიცინის" ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა. Erasmus+ Capacity Project „HERD“ - ის ფარგლებში შეიქმნა კვლევის მართვის ერთიანი ბაზა,

თსსუ - ს პერსონალს საერთაშორისო ტრენინგების (გერმანია, საფრანგეთი) მეშვეობით ჩაუტარდათ ტრენინგი კვლევის მენეჯმენტში. "Erasmus+ Capacity Building Project " SAFEMED+" ეხება კლინიკური ხაზის განვითარებას და კლინიკური უნარების სწავლებაში სამედიცინო სიმულაციური მეთოდების დანერგვით სამედიცინო განათლების გაუმჯობესებას.

ყოველწლიური სამეცნიერო ფესტივალი, სამეცნიერო ფორუმები და ღია კარის დღეები, რომელშიც მონაწილეობენ მაგისტრატურის და დოტორანტურის სტუდენტები, მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და ჩართვას. თსსუ უცხოელ პარტნიორებთან ახორციელებს ერთობლივ კვლევით პროექტებს.

თსსუ - ში რეგულარულად ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგები, რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ცნობიერების ამაღლება სამეცნიერო პროექტების მომზადების, მათი შეფასების, სამეცნიერო კეთილსინდისიერების და სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადების პრინციპებთან დაკავშირებით.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- დანართი 6.2.1- ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- დანართი 6.2.4 - თსსუ -ს კვლევის ეთიკის კომისია;
- დანართი 6.2.5 - მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი;

- დანართი 6.2.6 - თსსუ - ში ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები;
- დანართი 6.2.7- თსსუ - სდოქტორანტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში;
- ინტერვიუს შედგები:
- თვითშეფასების ჯგუფი;
- კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელები/წარმომადგენლები
- პრორექტორი კვლევის მიმართულებით

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

ინტერდისციპლინურ და გამოყენებით კვლევებში თსსუ-ს პოტენციალის სრულად გამოყენების მიზნით, სასურველია, თსსუ-მ მეტი აქცენტი გააკეთოს ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობაზე და წაახალისოს ერთობლივი კვლევითი პროექტები.

- კვლევის დაფინანსების გაზრდის მიზნით, სასურველია თსსუ - მ Horizon Europe პროექტში ამჟამინდელი მონაწილეობის მიღმა განიხილოს შემდეგი ვარიანტები:
  - Twinning - ის პროექტები: სასურველია თსსუ ჩაერთოს პროექტებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რათა მიაღწიოს კონკრეტულ შედეგებს თანამშრომლობითი ურთიერთობის მეშვეობით.
  - ევროკავშირის საერთაშორისო პარტნიორობის გრანტები: სასურველია გააკეთოს განაცხადი გრანტებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკრეტულ მოთხოვნებს.
  - SKYENET პროექტი: სასურველია თსსუ - მ მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ SKYENET პროექტში, რომელიც მხარს უჭერს სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს და უზრუნველყოფს აუცილებელი ცოდნის და უნარების მიწოდებას.
  - ერთობლივი ძალისხმევები დარგის პარტნიორებთან და სტარაპერებთან კომპანიებთან: სასურველია თსსუ - მ ითანამშრომლოს ინდუსტრიის პარტნიორებთან და დამწყებ კომპანიებთან, რათა მოიძიონდაფინანსების ახალი წყაროები და გამონახონ კვლევის პრაქტიკული გამოყენების გზაბი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პროაქტიული სადოქტორო სტიპენდიის პროგრამა კვლევის დაფინანსებით, უზრუნველყოფს პერსონალის აყვანას, რომელიც როგორც უკვე დადასტურდა,

წარმოადგენს შესანიშნავ მეთოდს თსსუ - ს მომავალი აკადემიური ლიდერების განვითარებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხარისხის და აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ეფექტურობის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, თსსუ - ში შექმნილია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები, მათ შორის პლაგიატის გამოვლენის და თავიდან აცილების პროცედურები. უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფასებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებს შემდგომ საქმიანობას. სადოქტორო / სამაგისტრო ნამუშევრების შეფასება ხორციელდება თსსუ - ს დებულების საფუძველზე, მედიცინის / სტომატოლოგიის / საზოგადოებრივი ჯანდაცვის / ფარმაციის ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ აკადემიური ხარისხის დადგენის, საქმიანობის და მინიჭების წესის და მაგისტრის ხარისხის მინიჭების დებულების საფუძველზე. თსსუ რეგულარულად აფასებს და აანალიზებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხარისხს, ასევე სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების კვლევითი საქმიანობის ეფექტურობას, რეგულარულად მართავს თემატურ სამეცნიერო კონფერენციებს, იღებს უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების და მათთან აფილირებული სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშებს და ატარებს კონკრეტული ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს სხდომებზე შესრულებული სამუშაოს ანალიზს/შეფასებას.

შექმნილია სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის ელექტრონული პორტალი. თსსუ - ს აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობა ფასდება მათი წლიური სამეცნიერო ანგარიშების მიხედვით. აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის თანამდებობრივი კონკურსის დროს სპეციალური კომისიის მიერ. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით. თსსუ რეგულარულად აქვეყნებს დასრულებული კვლევების ანგარიშებს. აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები მოთხოვნისამებრ წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას – ყოველწლიურად. ბოლო წლების განმავლობაში თსსუ-ში განხორციელებული კვლევები მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დაჯილდოვდა უმაღლესი შეფასების მაჩვენებლით. თსსუ - ს სტარტეგიული განვითარების გეგმაში აღწერილია ხედვა კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმების განვითარების შესახებ.
მტკიცებულელები/ინდიკატორები • თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 6.3.1 - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარდგენილი მოხსენებები და შეფასება • 2018 - 2023; • დანართი 6.3.2 - სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები; • დანართი 6.3.4 - პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი; • დანართი 6.3.5 – საკონკურსო სასერტიფიკატო კომისიის მუშაობის წესი; • დანართი 6.3.6 - თსსუ - ს მიერ ბიუჯეტირებული კვლევის დაფინანსება 2018-2023; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☒შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მისიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ეფექტურად იყენებს თავის მატერიალურ რესურსებს. უნივერსიტეტის აქტივები მოიცავს ხუთ კლინიკას და ორ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, სადაც ხორციელდება მთელი რიგი აქტივობები, კერძოდ, ტრენინგები, კლინიკური პრაქტიკა, კვლევები და წარმოება. ოპტიმალური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრიორიტს, რაც თვალსაჩინოა მის აღჭურვილ ობიექტებში. აღნიშნული გულისხმობს აუცილებელ კეთილმოწყობილ გარემოს, როგორიც არის სანიტარული კვანძები, ცენტრალური ვენტილაციის სისტემები, გათბობის ობიექტები და საგანმანათლებლო კორპუსებში უხვი ბუნებრივი განათება. რექტორის ხელმძღვანელობით, განსაზღვრული ჯგუფი ყოველწლიურად უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიური სტანდარტების დაცვას უნივერსიტეტის ყველა ერთეულში.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, თსსუ ახორციელებს ყოვლისმომცველ სანიტარულ და ჰიგიენურ ღონისძიებებს. ლაბორატორიებსა და სამედიცინო დაწესებულებებში ქიმიური და მიკრობიოლოგიური აგენტებით ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, მაღალი რისკის ადგილებში გამოყენებულია სპეციალიზებული ვენტილაციის სისტემები, მათ შორის HEPA ფილტრები.

უნივერსიტეტის ვალდებულება წყლის ხარისხზე დაკმაყოფილებულია წყლის ცენტრალიზებული მიწოდებით, რომელიც აკმაყოფილებს მკაცრ სანიტარიულ რეგულაციებს. გარდა ამისა, იქ, სადაც მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია დამხმარე ავზებში წყლის შენახვა და დეზინფექცია, აღნიშნული ხორციელდება კონტრაქტორი სამსახურების მიერ.

უნივერსიტეტი ამაყობს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მოიცავს 30 საკადასტრო ერთეულს, მთლიანობაში დაახლოებით 116,000.80 კვ.მ - ს. აღნიშნულ ობიექტებში განთავსებულია სხვადასხვა სივრცეები, მათ შორის სალექციო დარბაზები, ბიბლიოთეკები, კონკრეტრული დარგებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, საოპერაციოები, დიაგნოსტიკური და მოსასვენებლი სივრცეები. ბოლო გაუმჯობესება მოიცავს საგანმანათლებლო შენობების სრულ რეაბილიტაციას, გამწვანების პროექტებს და ხელმისაწვდომობას პანდუსებზე.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ერთვის თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია, მათ შორის, კლინიკებსა და ლაბორატორიებში მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობა, რომლებიც აღჭურვილია ადექვატური განათებით და კეთილმოწყობით. სანიტარული კვანძები ზედმიწევნით არის გამართული, ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემები უზრუნველყოფენ ოპტიმალურ პირობებს მთელი წლის განმავლობაში.

თსსუ - ს სასწავლო კორპუსებში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზომები, რაც მოიცავს ხანძრის ჩამქრობ ყოვლისმომცველ სისტემებს, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ინსტრუქციებს და შშმ პირებისთვის ადაპტირებულ ობიექტებს.

უნივერსიტეტი მუდმივად აფასებს მის ინფრასტრუქტურას და მომსახურების ხარისხს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მეშვეობით. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხედვები, ისევე როგორც სტუდენტების აზრის კვლევა, გვაწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო კორპუსების ინფრასტრუქტურის და შეთავაზებული სერვისების მიმდინარე გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტები;

- დანართი 7.1.1 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში სანიტარიულ - ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმების უზრუნველყოფის შესახებ დასკვნები;
- დანართი 7.1.2 - თსსუ - ს უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და შიდა აზომვითი ნახაზები;
- დანართი 7.1.10 - თსსუ - ს მიერ გაფორმებული ხელშეკრულება მეორე სასწავლო კორპუსის სრულ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;
- დანართი 7.1.13 - თსსუ - ს მიერ განხორციელებული სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალი 2018 - 2023 წლებში ;
- დანართი 7.1.19. დასკვნები თსსუ - ს შენობის სტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ; კანცლერის ბრძანება პოლიტიკის და შრომის უსაფრთხოების რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ;
  დანართი 7.1.20 - დასკვნა თსსუ - ში გათბობისა და ვენტილაციის სისტემების მუშაობის შესახებ დასკვნა; (ელექტროენერგიის, წყლის, გაზის ქვითრები);
- დანართი 7.1.21 - ინფორმაცია ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყაროს - გენერატორების შესახებ;
- დანართი 7.1.24 - თსსუ - ს რექტორის ბრძანება N482/04, 27.11.2019, „შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის შესახებ“; წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 04.04. 2018, N23/5. ოქმი ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ 13.02.2020 N23/1; კანცლერის ბრძანება MES 2 21 0000576538; 15.06.2021 "ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების შესრულებაზე, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების შესაბამისობაზე და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მუშაობაზე, შენარჩუნებაზე, მათ შეკეთებაზე და გამოსაყენებლად მზადყოფნაზე და საგანგებო სიტუაციებში შენობებიდან ხალხის უსაფრთხოდ ევაკუაციაზე პაუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

სასურველია, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გაგრძელდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ადაპტაცია არსებული გეგმის ფარგლებში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებში და მომავალი წლის ბიუჯეტში, სასურველია ბიბლიოთეკის და საგამოცდო ცენტრის რეკონსტრუქცია და ადაპტირება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ს ბიბლიოთეკა წარმოადგენს მნიშვნელოვან ცენტრს, რომელიც ემსახურება პროფესორებს, მკვლევრებს, სტუდენტებს და რეზიდენტებს მათი აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი რესურსებით. ბიბლიოთეკის მისიას წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ სწავლისა და სამეცნირო კვლევისათვის ხელსაყრელი გარემოს ხელშეწყობა. აღნიშნული ვალდებულება ასახულია მისი ყოვლისმომცველი სერვისების დიაპაზონში და მუდმივ ძალისხმევაში განვითარებისა და გაფართოების მიმართულებით.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს, რომ მისმა კოლექციებმა დააკმაყოფილოს ბაკალავრების, დოქტორანტების და ფაკულტეტის წევრების მარავლფეროვანი საჭიროებები. ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს თავის მომხმარებლებთან და დროული და სრულყოფილი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით სწავლობს მათ ინტერესებს და პროფესიულ მოთხოვნებს.

ბოლო წლებში ბიბლიოთეკამ განიცადა მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია. ელექტრონულ წევრობაზე და კატალოგის სისტემებზე გადასვლიდან დაწყებული წიგნების ეფექტური ცირკულაციისთვის შტრიხკოდების დანერგვამდე, აღნიშნულმა ცვლილებებმა გაამარტივა მის ფართო კოლექციაზე წვდომა და მართვა. ბიბლიოგრაფიის, შესყიდვების, სერვისების და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტები შეუფერხებელი ოპერაციების შენარჩუნების და ხარისხიანი სერვისების მიწოდების მიზნით მოქმედებენ ჰარმონიულად.

ბიბლიოთეკის გავლენა ფართოდ არის გავრცელებული. ის თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამედიცინო ორგანიზაციებთან, ამდიდრებს თავის კოლექციას სპეციალიზებული დოკუმენტაციით და ხელს უწყობს ბიბლიოთეკებს შორის სესხებს. ბიბლიოთეკის წვდომა პრესტიჟულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე, როგორიც არის HINARI და Elsevier's ScienceDirect და Scopus, უზრუნველყოფს

ხელმისაწვდომობას უამრავ სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც აძლიერებს კვლევის შესაძლებლობებს სხვადასხვა დისციპლინებში.

თანაბრად მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის პერსონალის როლი მომხმარებლების მხარდაჭერაში. ისინი არა მხოლოდ ხელმძღვანელობას უწევენ რესურსების გამოყენებაში, არამედ სთავაზობენ სემინარებს, კონსულტაციებს და ტრენინგებს ინფორმაციული ცნობიერების და კვლევის უნარების გაუმჯობესებაში.

უნივერსიტეტი სამომავლოდაც იღებს ვალდებულებას კიდევ უფრო გააძლიეროს საბიბლიოთეკო სერვისები. გეგმები მოიცავს ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის განახლებას, ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებას და მონაცემთა ბაზების გაფართოებას ისეთ პლატფორმებზე, როგორიც არის Web of Science და Medline. დამატებით, მიმდინარე გამოკითხვები და უკუკავშირის მექანიზმები გაგრძელდება სამომავლო განვითარების ფორმირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის რეაგირებას მისი აკადემიური საზოგადოების განვითარებად საჭიროებებზე.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;
- დანართი 7.2.3 - ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) გამოყენების ლიცენზია;
- დანართი 7.2.5 - წვდომა Elsevier Publishing Corporation-ის ოთხ მონაცემთა ბაზაზე;
- დანართი 7.2.9 - საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარების და განახლების მექანიზმები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.

  უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თსსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ადმინისტრირების პოლიტიკა რეგულირდება რექტორის აპარატის დებულებებით და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციებით. სამსახური ფუნქციონირებს რექტორის და ადმინისტრაციის უფროსის მეთვალყურეობის ქვეშ. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური მართავს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ვებგვერდის დიზაინს და ქსელურ ინფრასტრუქტურას, რაც უზრუნველყოფს კომპიუტერებისა და საოფისე აღჭურვილობის გამართულ მუშაობას. ადმინისტრაციული და სასწავლო ბლოკების გარდა, დეპარტამენტები დაკავშირებულია ოპტიკურ და DSL ინტერნეტთან. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს 85 კომპიუტერს უსადენო ინტერნეტით, რომელიც ემატება დეპარტამენტის რესურსებს.

ბოლო განახლებები მოიცავს 2020 წელს ორი მძლავრი სერვერის შეძენას, რაც აძლიერებს დისტანციური და ჰიბრიდული სწავლის შესაძლებლობებს. 2023 წელს FortiGate 401E firewall - ის დაყენებამ გააუმჯობესა ქსელის უსაფრთხოება. უნივერსიტეტი აგრძელებს გაფართოებას, ახლადჩამოყალიბებული კომპიუტერული ქსელით რეაბილიტირებულ ისტორიულ შენობაში და გეგმავს კომპიუტერული და სერვერული ინფრასტრუქტურის განახლებას. 2025 წლამდე დაიწყება ახალი საუნივერსიტეტო კორპუსის და საავადმყოფოს მშენებლობა, რაც გააფართოებს ქსელის შესაძლებლობებს მეტი მომხმარებლისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტებს, მათ შორის Eduroam - ს გლობალურად უსაფრთხო ინტერნეტთან წვდომისთვის. ძირითადი ელექტრონული სერვისები მოიცავს eFlow დოკუმენტაციის სისტემას, LMS აკადემიური მართვისთვის, ელექტრონულ ჟურნალებს დასწრებისა და შეფასებებისთვის, რეზიდენტთა რეგისტრაციის სისტემას და ელექტრონულ საგამოცდო სისტემას. უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველდღიურად ხორციელდება აღნიშნული სისტემების სარეზერვო მონაცემების ამოღება და დამატებით სერვერებზე შენახვა.

თსსუ - ს დანერგილი აქვს სწავლების მართვის ელექტრონული სისტემა (LMS), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სასწავლო კურსების სილაბუსებს და ნახონ ინფორმაცია სწავლის საფასურის და მიღებული ქულების შესახებ. სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, თსსუ - მ შესაძლოა გაითვალისწინოს LMS სისტემის შემდგომი განვითარება ისე, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა სასწავლო მასალებზე, შეძლონ კომუნიკაცია მასწავლებლებთან და დამოუკიდებლად დარეგისტრირდნენ კურსებზე ადმინისტრაციული პერსონალის დახმარების გარეშე. სამომავლო განვითარება ფოკუსირებული იქნება LMS მოდულების ოპტიმიზაციაზე, ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონალის დახვეწაზე, ვებგვერდის მოდერნიზაციაზე და ელექტრონული საგამოცდო სისტემის გაფართოებაზე ახალი კითხვების ტიპებითა და მოდულების გათვალისწინებით გაუმჯობესებული შეფასების და მონაცემთა ანალიზისთვის.
მტკიცებულელები/ინდიკატორები • თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები; • ადგილზე ვიზიტი; • ვებ-გვერდები: tsmu.edu (www.tsmu.edu) sms.tsmu.edu; • დანართი 2.1.2 - თსსუ - ს რექტორის აპარატის დებულება (https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1101); • დანართი 2.1 - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ოფიციალური ინსტრუქცია; • დანართი 7.3.7 - ხელშეკრულებები ინტერნეტის მოწოდების შესახებ; • დანართი 7.3.8 - ხელშეკრულებები ვებ ჰოსტინგის სერვისებზე შესაბამისი დოკუმენტების/სხვა მტკიცებულებების მითითებით.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

სასურველია თსსუ-მ გაითვალისწინოს LMS სისტემის ქმედუნარიანობის გაზრდა, LMS სისტემაში სასწავლო კურსების წინაპირობის სისტემის ინტეგრირებით, რაც გაამარტივებს სტუდენტების თვითრეგისტრაციის პროცესს. სასურველია თსსუ-მ გაითვალისწინოს სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან და ლექტორებთან კომუნიკაციის გამარტივების გზები.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი 2.3 - ჯერ არის გაზრდილი. შემოსავლის ძირითადი წყაროებია სწავლის გადასახადი, პროგრამების სახელმწიფო დაფინანსება, კვლევითი გრანტები და სხვა კანონიერ საქმიანობები. ბიუჯეტის 98% მოდის საკუთარი შემოსავლებიდან, 1.3% სახელმწიფოს დაფინანსებიდან და 0.7% სამეცნიერო საქმიანობიდან. შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროებია საგანმანათლებლო საქმიანობა (57.1%), სამედიცინო საქმიანობა (36.7%), სამეცნიერო საქმიანობა (1.8%) და სხვა ეკონომიური აქტივობები (4.4%). სწავლის გადასახადი შეადგენს საგანმანათლებლო შემოსავლის 85% - ს, ხოლო 15% მოდის სახელმწიფოს

გრანტებიდან. ასევე, სამედიცინო შემოსავალი ძირითადად გამომდინარეობს უნივერსიტეტის კლინიკური ბაზებიდან.

2018 - 2023 წლებში ხარჯების უდიდესი ნაწილი მიმართული იყო უნივერსიტეტის კლინიკური ბაზის გაძლიერებაზე, საგანმანათლებლო და კლინიკური პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. იზრდება სტუდენტების რაოდენობა, რაც განპირობებულია საგანმანათლებლო და კლინიკური ინფრასტრუქტურის განვითარებით, რაც ასევე იზიდავს მეტ საერთაშორისო სტუდენტს. მოსალოდნელია სტუდენტების რაოდენობის ზრდა არანაკლებ 5% -ით, რაც გამოიწვევს ბიუჯეტის ზრდასაც.

ახალგაზრდა დოქტორანტების შენარჩუნების მიზნით, ხორციელდება მათი სწავლების დაფინანსება და სტიპენდიების შეთავაზება. 2020-2023 წლების პროექტების და 2024-2027 წლებში დაგეგმილი პროექტების მიზანია სტუდენტების რაოდენობის და შემოსავლის ზრდა, რაც შესაბამისობაშია თანამედროვე საგანმანათლებლო და კვლევით სტანდარტებთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონტროლის ქვეშ, რომელიც ამტკიცებს უნივერსიტეტის დებულებას და ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას. უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ადმინისტრაციის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია წარმომადგენელთა საბჭოს წინაშე და ამტკიცებს ბიუჯეტს და წლიურ ანგარიშებს.

სახელმწიფო კონტროლი მოიცავს პერიოდულ აუდიტორულ შემოწმებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ და ყოველწლიურად ხორციელდება ფინანსური ანგარიშების წარდგენა. შიდა კონტროლი და კერძო აუდიტორული კომპანიები უზრუნველყოფენ სათანადო ფინანსურ მართვას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იცავს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას და გამჭვირვალე ფინანსური ტრანზაქციების მიზნით იყენებს ელექტრონულ სახაზინო სისტემას.

მნიშვნელოვანი იყო სამეცნიერო კვლევების დაფინანსება 2018 - 2023 წლებში, რეგულარული ინვენტარიზაციის შეფასებები უზრუნველყოფენ აქტივების ზუსტ ჩანაწერებს.

შეჯამების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფინანსური სტაბილურობა და ზრდა განპირობებულია გაზრდილი სწავლის გადასახადიდან მიღებული შემოსავლებით, სტრატეგიული ინფრასტრუქტურული ინვესტიციებით და ეფექტური ადმინისტრაციული კონტროლით, მკაცრი შიდა და გარე აუდიტით.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თსსუ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;

- დანართი 7.4.1 - თსსუ - ს 2018 წლის ბიუჯეტი;
- დანართი 7.4.2 - თსსუ - ს 2019 წლის ბიუჯეტი;
- დანართი 7.4.3 - თსსუ - ს 2020 წლის ბიუჯეტი;
- დანართი 7.4.4 - თსსუ - ს 2021 წლის ბიუჯეტი;
- დანართი 7.4.5 - თსსუ - ს 2022 წლის ბიუჯეტი;
- დანართი 7.4.6 - თსსუ - ს 2023 წლის ბიუჯეტი;
- დანართი 7.4.6.1 - თსსუ - ს 2024 წლის ბიუჯეტი;
- დანართი 7.4.7 - თსსუ - ს აკადემიური პერსონალის ხელფასის ზრდის დინამიკა;
- დანართი 7.4.16 - თსსუ - ს უძრავი და მოძრავი ქონების საბალანსო ღირებულების დინამიკა;
- დანართი 7.4.17 - თსსუ - ს ეკონომიკური დეპარტამენტის დებულება;
- დანართი 7.4.18 - თსსუ - ს ერთიანი ბიუჯეტის შედგენის წესი;
- დანართი 7.4.19 - თსსუ - ს შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი;
- დანართი 7.4.20 - თსსუ - ს ხელშეკრულებები კერძო აუდიტორულ კომპანიებთან.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მთლიანობაში, თსსუ -ს მასშტაბურმა ინვესტიციებმა არა მხოლოდ გააძლიერა მისი შიდა ოპერაციები, არამედ მოიტანა პოზიტიური განწყობა როგორც პერსონალში, ასევე სტუდენტებში, რამაც გამოიწვია დაწესებულებაში აფილირებისა და ჩართულობის ძლიერი განცდა.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან